

თბილისის

ვანო

სარაჯიშვილის

სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორიის

ტრადიციული

მრავალხმიანობის

კვლევის

საერთაშორისო

ცენტრის

ბიულეტენი

თბილისი, ივნისი, 2019

№26

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

გური სიხარულიძის გახსენება

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ
ივეტ გრიმო და ქართული სიმღერა

ანსამბლი დიდგორი 15 წლისაა

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები
ანსამბლი მასპინძელი (დიდი ბრიტანეთი)

ქართული სიმღერის მოამაგეები
თელაველები (II ნაწილი)

„საქართველო ყველაზე იდუმალი ქვეყანა“ –
გალობის უნივერსიტეტისა და ნოტრ დამის უნივერსიტეტის
გაცვლითი პროგრამის დღიურებიდან

ბავშვთა ტრადიციული ანსამბლი

რევაზ შანიძის ქართული ტრადიციული მუსიკის სტუდია

ერთი ხეობის ფოლკლორი სცენაზე – ანსამბლი *ჭვანა*

ქართულ-უცხოური ოჯახები ქართული ტრადიციების
სადარაჯოზე (ნაწილი II)

უცხოური მრავალხმიანობა

შოპლუკელ ქალთა ბურდონული მრავალხმიანი მღერა

„ჩვენებურების სიმღერა ინეგოლიდან:
პიტერ გოლდის ნაკვალევზე“

ერთი ტრადიციული საკრავის შესახებ
ჩონგური

ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ
ლამპრობის დღესასწაული საქართველოში

სიმღერა *ჯგრაგიშ*

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი, 2019)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

10.04-2.06.2019 – საქართველოს საგუნდო საზოგადოებამ ჩაატარა „ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების V ეროვნული კონკურსი“, რომელმაც გამოავლინა საუკეთესო საშემსრულებლო კოლექტივები მთელი საქართველოს მასშტაბით შემდეგ კატეგორიებში: A – აკადემიური საგუნდო სიმღერა; B – ქართული ხალხური სიმღერა; C – ქართული საეკლესიო გალობა.

30.04.2019 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის, ვლადიმერ ახოზაძის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

4.05-6.06.2019 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა XIV საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამალეობამდე“.

10-14.05.2019 – საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულის ფარგლებში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით, თბილისურმა ანსამბლებმა – ანჩისხატი, დიდგორი, სახიობა, ადილეი, ერთობა, იალონი, ნანინა – ჩაატარეს სოლო კონცერტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

22.05.2019 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში გაიმართა პროფ. მანანა ანდრიაძისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანული თეოლოგიისა და მუსიკოლოგიის საკითხები“.

27-28.05.2019 – ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გაიმართა სალოტბარო სკოლების ფესტივალი *მომავლის ხმები*, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სალოტბარო სკოლების გუნდებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

15-23.06.2019 – ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულმა ცენტრმა მოაწყო ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ტრადიციული ფესტივალი „მრავალჟამიერ“.

ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.

4.01.2019 – საქართველოში საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ ღია საღაყაია საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა.

15.02-15.03.2019 – ფოლკლორის ცენტრის ინიციატივით ჩატარდა ფოლკლორული იდეების კონკურსი სახელწოდებით „შენი ფოლკლორული იდეა“, რაც გულისხმობს ქართული ფოლკლორის დარგებისა და საეკლესიო გალობის, ასევე, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ფოლკლორული პროექტების განხორციელებას.

13.03.2019 – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ *რუსთავის* საიუბილეო ანთოლოგიის პრეზენტაცია გაიმართა.

29.03.2019 – საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა *ქართული გალობის ანთოლოგიის* რვატომეულის პრეზენტაცია.

1.04.2019 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში ჩატარდა გიორგი კეკელიძის საჯარო ლექცია თემაზე „ლიტერატურა და ადამიანი“.

15.03.2018 – საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო მუსიკის მიმართულების ორგანიზებით, დიმიტრი ალექსიძის სახელობის თეატრში გაიმართა ეთნომუსიკოლოგ გია ბაღაშვილის საჯარო ლექცია თემაზე „მარადისობის იდეა ქართულ ხალხურ სიმღერაში“.

23.04.2019 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ნინო კალანდაძის საჯარო ლექცია

ქცია თემაზე „უორდროპები და ქართული ტრადიციული მუსიკა“.

27.04-6.05.2019 – ანსამბლმა *იალონი* ჩაატარა კულტურულ-საგანმანათლებლო ტური სამეგრელოსა და სვანეთში.

10.05.2019 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ეთნომუსიკოლოგ მალხაზ ერქვანიძის ლექცია „ქართული საეკლესიო გალობა და ღვთისმშობლის საგალობლები“ და კონცერტი მგალობელ-მომღერალთა გუნდების – *სახიობასა* და *სათანაოს* მონაწილეობით.

15-17.04.2019 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა და ფონდმა *ქართული გალობა* თბილისის რუსთაველის სახელმწიფო თეატრსა და ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართა კონცერტი სახელწოდებით „ჩვენებურების სიმღერა ინეგოლიდან“, რომელზეც შედგა ოთხენოვანი გამოცემის – „ქართული მრავალხმიანობა დასავლეთ თურქეთში: პიტერ გოლდის ნაკვალევზე“ – პრეზენტაცია.

18.05.2019 – თბილისში, არტ-კაფეში „ზოესთან“ გაიმართა ანსამბლ *კიმილიას* პირველი აუდიო ალბომის „Chants d'un temps“ პრეზენტაცია და კონცერტი, რომელზეც შესრულდა ქართული ხალხური და შუასაუკუნეების პოლიფონიის ნიმუშები.

2.06.2019 – თბილისში, ექსპო-ჯორჯიას პავილიონში გაიმართა ეთნომუსიკოლოგ მაია გელაშვილის მითოლოგიურ-ფოლკლორული ზღაპრის, „შუქიფეს“ პრეზენტაცია.

3.06.2019 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში გაიმართა ფილოლოგიის დოქტორის, უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგის, ია ლადასა საჯარო ლექცია თემაზე „გიორგი მთაწმინდელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა“.

7.06.2019 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში შედგა Aix-Marseille უნივერსიტეტის (საფრანგეთი) ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, ბლანშ ლაკოსტეს სემინარი თემაზე: „ქალთა მუსიკის როლი რომის მიგრანტთა საზოგადოებების რელიგიურ მსახურებებში (ქართული, პოლონური და უკრაინული საზოგადოებების მაგალითზე)“.

12.06.2019 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკალურმა მიმართულებამ გამართა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდგვნა დისკუსიას თემაზე: „ეთნიკური მუსიკის დღევანდელი მდგომარეობა“.

13.06.2019 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა წიგნის – „ივეტ გრიმო და ქართული სიმღერა“ – პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა: *ბასიანი*, *ანჩისხატი*, *მთიები*, *ადილეი*, *სახიობა*, *კიმილია*, *იალონი*, *შილდა*, *მჭელი*, *გალობის უნივერსიტეტის გუნდი*.

14.06.2018 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ქეთევან ჯერვალიძის ლექცია თემაზე „მივიწყებული ქართული საკრავი წინწილი და მისი ეტიმოლოგია“.

ექსპედიციები

24.02.2019 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით მოეწყო ექსპედიცია გურჯაანის რაიონში (კახეთი) კახური ცეკვის მოძიება-აღდგენის მიზნით (ექსპ. ხელ-ლი – უჩა დვალიშვილი).

გასტროლები

15.03.2019 – სახელმწიფო ანსამბლი *ბასიანი* მიწვეული იყო იაპონიაში, ქალაქ ტოკიოში გამოფენის „საქართველო – ღვინის სამშობლო“ საზეიმო გახსნაზე.

23.03-3.04.2019 – ანსამბლმა *დიდგორმა* მოაწყო საკონცერტო ტური ავსტრიასა და გერმანიაში.

03-29.04.2019 – ანსამბლმა *ადილეიმ* მოაწყო საგასტროლო ტური აშშ-ში, რომლის ფარგლებში ჩაატარა სოლო კონცერტები, მასტერ-კლასები და ლექცია-სემინარები სხვადასხვა ქალაქში.

8-12.04.2019 – ანსამბლი *იალონი* მიწვეული იყო ლონდონის თეატრის დრამისა და პერფორმანსის როუზ ბრუფორდის კოლეჯის მაგისტრანტ სტუდენტებთან მასტერკლასების ჩასატარებლად.

9-12.04.2019 – საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი *რუსთავი* საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში იმყოფებოდა,

სადაც მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანების 20 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებში.

8.05.2019 – ანსამბლმა *ანჩისხატი* თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორ რეზო კიკნაძესთან ერთად კონცერტი გამართა პოლონეთის ქალაქ ლუბლინში .

20-23.05.2019 – საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა *რუსთავი* მონაწილეობა მიიღო თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში გამართულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

28.05-19.06.2019 – ანსამბლმა *დიდგორი* მონაწილეობა მიიღო ქალაქ ედმონტონში საგუნდო მუსიკის ფესტივალში. ანსამბლმა კანადის სხვადასხვა ქალაქში ჩაატარა კონცერტები და ქართული კულტურისა და მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი ლექცია-სემინარები.

6-8.06.2019 – ესპანეთში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიება, რომლის ფარგლებში მადრიდის საკონცერტო დარბაზში Ateneo de Madrid ჩატარდა ანსამბლ *ბასიანის* სოლო კონცერტი.

7-9.06.2019 – ანსამბლი *ერთობა* მიწვეული იყო პოლონეთში, ვიელკოპოლსკას რეგიონის რამდენიმე ქალაქში სოლო კონცერტების ჩასატარებლად.

22-24.06.2019 – საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა *რუსთავი* მონაწილეობა მიიღო ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში მოწყობილ ქართული კულტურის დღეებში.

კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები...

02.01.2019 – თბილისში, პირველი რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა საახალწლო ფოლკლორული კონცერტი, თბილისური ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით.

16.01.2019 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ქრისტეშობისადმი მიძღვნილი სიმღერა-გალობის კონცერტი,

რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის მომღერალთა და მგალობელთა გუნდებმა.

24.01.2019 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ანსამბლმა *სახობამ* სოლო კონცერტი გამართა.

2.02.2019 – ქართული ტრადიციული გალობის ერთ-ერთი გადამრჩენლის, ღირსი მამა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენების დღესთან დაკავშირებით თბილისის ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა აღევლინა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სხვადასხვა ტაძრის მგალობელთა გუნდებმა და ანსამბლებმა.

27.02.2019 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის საკონცერტო დარბაზში, ანსამბლ *ქართული ხმების* უფროსი თაობისა და ოზურგეთის სახალხო ანსამბლ *შვიდკაცას* 30 წლიანი მეგობრობისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი გაიმართა.

7.03.2019 – ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა ვახტანგ კახიძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა *რუსთავი*.

8.03.2019 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ წევრებისათვის.

13.03.2019 – თბილისის წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლაში დუშეთის სალოტბარო სკოლისა და მასპინძელი სკოლის მოსწავლეების ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

31.04.2019 – თბილისის კოტე მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა *რუსთავი*.

14.04.2019 – თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა თუში ეთნოფორების, დების, ეთერ და ლელა თათარაიძეების ვარსკვლავი; თბილისის *ივენტ კოლში* გაიმართა მათი შემოქმედებითი საღამო.

14.04.2018 – თბილისის მწერალთა სახლში გაიმართა დედაენისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა *რუსთავი*.

1.05.2019 – თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის თეატრში გაიმართა საქართველოს დამსახურებული არტისტის, რამინ მიქაბერიძის დაბადებიდან 75 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

2.05.2019 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზში გაიმართა ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის, ვლადიმერ ახოხაძის 100 წლის უბილისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

7.05.2019 – ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის პარკში გაიხსნა ანსამბლ *შვიდკაცას* ვარსკვლავი, რაიონულ ფოლკლორის ცენტრში კი გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც *შვიდკაცასთან* ერთად მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: *ქართული ხმები*, *რუსთავი*, *ბასიანი*.

18.05.2019 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმმა, მუზეუმების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, მოაწყო ტრადიციული ფოლკლორული საღამო სახელწოდებით „ღამე მუზეუმში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა: *მჭელი*, *გალობის უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდი*, *იალონი*, ინსტრუმენტული ჯგუფი ანსამბლ *ეგარიდან*.

22.05.2019 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში გაიმართა გოგონების სახელოსნოს I კურსის სტუდენტების სააღდგომო ეთნოგრაფიულ-მუსიკალური წარმოდგენა „ჭონას ვიყავ“.

26.05.2019 – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, ოზურგეთის რაიონში გაიმართა დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული მუსიკალური ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

26.05.2019 – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ორგანიზებით, სოფელ ნიქოზში საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო *გალობის უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდმა* და ფონდ *ქართული გალობის* სოფელ ნიქოზის ბავშვთა გუნდმა.

26.05.2019 – საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ქალაქ ბოლნისში გაიმართა ანსამბლ *ერთობისა* და ადგილობრივი ანსამბლ *ორბელის* ერთობლივი კონცერტი.

29.05.2019 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა *რევაზ შანიძის ქართული ტრადიციული მუსიკის სტუდიის* პრეზენტაცია და კონცერტი.

31.05.2019 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის გოგონათა სახელოსნოს I კურსის სტუდენტებისა და ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ *კირიალესას* სააღდგომო ეთნოგრაფიულ-მუსიკალური წარმოდგენა „ჭონას ვიყავ“.

31.05.2019 – თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლო კონცერტი.

10.06.2019 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა კონცერტი-გამოფენა „ერთი ხეობის ფოლკლორი – ჭვანა“.

11.06.2019 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრში გაიმართა ეთნიკური მუსიკის კონცერტი „ფოლკლორულ მოტივებზე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ანსამბლებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

11.06.2019 – მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა“ ჩატარდა ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლ *კირიალესას* სოლო კონცერტი.

18.06.2019 – თბილისის საკრებულოში გაიმართა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ *რუსთავის* 50 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო მიღება.

გამოცემები

ანსამბლმა სახიობამ გამოსცა
CD ალბომი სახელწოდებით „ქართული
ტრადიციული და მსოფლიო მუსიკა“



**საქართველოს სიმღერისა და ცეკვის
სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა
რუსთავი** გამოსცა
საიუბილეო ანთოლოგია
400 ქართული ხალხური სიმღერა (16 CD)



ანსამბლმა ადილეიმ გამოსცა ელექტრონული
აუდიო სასწავლო ჩანაწერების მეორე ნაწილი




**საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო
ცენტრმა** გამოსცა
ფოლკლორულ ანსამბლ **გორდას** პირველი
აუდიოალბომი



ანსამბლმა კიმილიამ გამოსცა
პირველი აუდიოალბომი



**საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო
ცენტრმა ფონდ ქართულ გალობასთან** ერთად
გამოსცა
ქართული გალობის ანთოლოგია
(რვატომეული)




**ფონდმა ქართული გალობა გამოსცა
ისლამ ფილფანის მონოგრაფია**



გური სიხარულიძის გახსენება

სულ რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა გურული სიმღერის უბადლო შემსრულებელი გური სიხარულიძე. 2013 წელს ფონდმა ქართული გალობა იგი დააჯილდოვა „გურული სიმღერის აღდგენა-პოპულარიზებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის“, მოგვიანებით კი, ანზორ ერქომაიშვილის ავტორობით, მის შესახებ წიგნიც გამოიცა, რომელშიც ავტორმა გური სიხარულიძეს ღვათაებრივი ნიჭით გასხივოსნებული მომღერალი უწოდა.

**გამომცემლობა „პეგასმა“ გამოსცა
ეთნომუსიკოლოგ მაია გელაშვილის
ფოლკლორულ მოტივებზე შექმნილი
ზღაპარი „შუქიფე“**



გური სიხარულიძე

მოამზადა მაკა ხარშიანმა

„სასწაულებრივი მახვილი სმენა, ინტონაციის სისუფთავე, ძველი გურული კილოს სისხლხორცეული გათავისება, კოლორიტული ხმის თავისუფალი, ძალდაუტანებელი, თავისუფალი ჩახვევა, იმპროვიზაციის განსაცვიფრებელი უნარი, ვირტუოზული ტექნიკა, გამომგონებლობა, ურიცხვი ვარიანტულობა, ყველასგან გამორჩეული საშემსრულებლო მანერა ძველი ტრადიციის გაგრძელება და გასაოცარი ნიჭის გამოხატულებაა და სამაგალითოა თანამედროვე მომღერლებისთვის“ – წერს ანზორ ერქომაიშვილი.

გური სიხარულიძე დაიბადა 1930 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში ტრადიციულ მომღერალთა ოჯახში. გურული სიმღერები მშობლებისგან – ნატაშა გოლიაძისა და იპოლიტე სიხარულიძისგან, ასევე, ბებია ელისაბედისგან

ისწავლა. მამის გარდაცვალების შემდეგ მისთვის სიმღერების სწავლება ბიძას – ილარიონს გაუგრძელებია, რომელიც იპოლიტესთან ერთად წლების მანძილზე ვარლამ სიმონიშვილის გუნდში მღეროდა.

გური სიხარულიძე 1950 წელს მაკვანეთის საკოლმეურნეო გუნდში მიიღეს, რომელსაც არტემ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. პარალელურად, ოზურგეთის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი გახდა ვლადიმერ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელმა 1978 წელს ჩამოაყალიბა ანსამბლი „ელესა“, რომელშიც გური სიხარულიძე 2002 წლამდე მღეროდა.

2004 წელს ბიზნესმენ შალვა ცეცხლაძის თანადგომით შეიქმნა ტრიო „შალვა ჩემო“, რომელშიც გური სიხარულიძესთან ერთად ტრისტან სიხარულიძე და მერაბ კალანდაძე გაერთიანდნენ. ტრიომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა და 2006 წელს 2 აუდიოალბომი (37 გურული სიმღერა) ჩაწერა.

თუმცა, როგორც თავად გური სიხარულიძე იგონებდა, მისთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა 2003 წელს, ანზორ ერქომაიშვილთან და ტრისტან სიხარულიძესთან ერთად ჩაწერილი აუდიოალბომი „ჩვენ მშვიდობა“, რომელშიც 26 გურული სიმღერის უიშვიათესი იმპროვიზაციული ვარიანტები შევიდა.



ტრიო „შალვა ჩემო“

დისკის ანოტაციაში, რომელიც ცნობილმა ფოლკლორისტმა, კუკური ჭოხონელიძემ დაწერა, ვკითხულობთ: „ეს ჩანაწერები გამოირჩევა გურული სიმღერების ღრმა ცოდნით, იშვიათი ოსტატობით, საკუთარი, განუმეორებელი საშემსრუ-

ლებლო მანერით, იმპროვიზაციით. საქმეში ჩახედული, სმენაგაფაქიზებული კაცი ძველი თაობის სიმღერებიდან მომდინარე ვარიანტების ინტონაციებსაც ამოიცნობს“.

გური სიხარულიძე 88 წლის ასაკში ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან. მისი მონაწილეობით ჩაწერილი სიმღერების უიშვიათეს ვარიანტებზე ამ კუთხის მუსიკალური ფოლკლორით დაინტერესებული არაერთი თაობა გაიზრდება...

უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ

ივეტ გრიმო და ქართული სიმღერა

2019 წლის 13 ივნისს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა წიგნის – „გრიმო და ქართული სიმღერა“ – პრეზენტაცია.

ივეტ გრიმო არის ლეგენდად ქცეული ფრანგი ეთნომუსიკოლოგი ქალი, რომელმაც XX საუკუნის 60-იან წლებში კონსერვატორიის პროფესორებთან, შალვა ასლანიშვილსა და გრიგოლ ჩხიკვაძესთან 7 წლიანი მიწერ-მოწერისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩარევის შემდეგ, მოახერხა საბჭოთა სუკ-ის (კგბ) დიდი წინააღმდეგობის გადალახვა და საქართველოში ჩამოვიდა უნიკალური ხალხური სიმღერების ჩასაწერად.

გრიმო იყო ევროპული მუსიკალური კულტურის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილი კომპოზიტორი და პიანისტი, რომელსაც ბრწყინვალე არტისტულ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. ამიტომ ფრანგული საზოგადოება გააოცა მისმა მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ, უარი ეთქვა აუდიტორიის აღტაცებასა და აპლოდისმენტებზე იმისათვის, რომ ეგზოტიკური ხალხური მუსიკის შესასწავლად „აღმოსავლეთ ევროპის საქართველოს“ სწვეოდა.

იმედი არ გაცრუებია: მან პროფესორ გრიგოლ ჩხიკვაძესთან ერთად მოიარა თითქმის მთელი საქართველო და XX საუკუნის „წინააღმდეგობებით აღსავსე“ და „გახლეჩილ“ ეპოქაში, როგორც თავად აღნიშნავს, ქართული სიმღერის „კეთილხმოვან და დახვეწილ ფორმებში“ იპოვა

ის ღირებულებები, რომლებიც დასავლეთში უკვე დაკარგული იყო.



ივეტ გრიმო

საქართველოში ჩამოსვლამდე გრიმომ საფუძვლიანად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორია. ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ თავის ნარკვევებში იგი წერს არა მარტო ქართული სიმღერის უძველეს წარმომავლობაზე, არამედ ძველი კოლხეთის პელაზგებზე, ქალდეასა და კარდუხებზე, ქართული კულტურის კავშირებზე ძველ ასირიულ, ხეთურ, ბაბილონურ და შუმერულთან, პოულობს მასში მითიურ ჰიპერბორიულ კვალს...

1970-80-იან წლებში მრავალენოვან „რევიუ ქართველოლოჟიში“ გრიმო აქტიურად ბეჭდავს სამეცნიერო სტატიებს, სისტემატურად გამოდის „რადიო ფრანსეს“ ეთერში. მის ტექსტებში გადმოცემულია ნამდვილი არტისტის, მუსიკოსის, მხატვრისა და ამავდროულად, ფილოსოფოსის, მისტიკოსის შეგრძნებები. ისინი მეტაფორულად მოგვითხრობენ ზეპირი ტრადიციის მემკვიდრეობის მარადიულობაზე და წარმოგვიდგენენ მას, როგორც ცისა და დედამიწის დამაკავშირებელ მედიუმს, რომლის გზავნილი მხოლოდ „გულისყურიანი“ ადამიანისთვისაა მოსაწვდომი.



წიგნი „გრიმო და ქართული სიმღერა“

საპრეზენტაციო ქართულ-ინგლისურენოვანი წიგნი გვაცნობს ივეტ გრიმოს ორიგინალურ ნაშრომებს ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ და მის მიერ პროფესორ გრიგოლ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში 1967 წელს ჩაწერილ 331 ნიმუშს. მკითხველი, ასევე, გაიგებს მისი ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებს და წაიკითხავს 2010 წელს მასთან ჩაწერილ ინტერვიუს, რომელიც გვიჩვენებს, როგორ ცოცხლობდა მის მეხსიერებაში 40 წელზე მეტი ხნის წინ იმ ხალხთან ურთიერთობით მიღებული შთაბეჭდილება, XX საუკუნის 60-იან წლებში ჯერ კიდევ „ძველ ალთქმაში რომ ცხოვრობდა“.

წიგნის გამოცემის ორგანიზატორები არიან: ტმკსც, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, საქველმოქმედო ფონდი *ქართული გალობა*. წიგნი გამოსაცემად მომზადდა ამ უკანასკნელის ფინანსური მხარდაჭერით.

წიგნის „გრიმო და ქართული მუსიკა“ პრეზენტაცია-კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა: *ბასიანი, ანჩისხატი, მთიები, ადილეი, სახიობა, იალონი, კიმილია, შილდა, მჭელი, გალობის უნივერსიტეტის გუნდი*, რომელთაც შეასრულეს 1967 წელს ივეტ გრიმოს მიერ ჩაწერილი უნიკალური რეპერტუარი.

რუსუდან წურწუმი
ტმკსც-ის დირექტორი

ანსამბლი დიდგორი 15 წლისაა

მგალობელ-მომღერალთა გუნდი დიდგორი წელს იუბილარია. მას შეეძინიდან 15 წელი უსრულდება. დიდგორელებს სიმღერა ცხოვრების წესად აქვთ ქცეული და ვერც კი წარმოუდგენიათ მის გარეშე არსებობა. მსმენელი უთუოდ გრძნობს ამას და სწორედ ამიტომ, ანსამბლის ყოველი გამოსვლა ზეიმია მისთვის... დიდგორის შემოქმედებითი ცხოვრებისა და საიუბილეო ღონისძიებების შესახებ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, გივი აბესაძე გვესაუბრება.

მ.ხ. – როდის დაიწყო ანსამბლმა დიდგორმა მოღვაწეობა?

გ.ა. – ჩვენი შეკრება 2003-2004 წელს დაიწყო, გურამ თამაზაშვილის სტუდიაში. ქალბატონი ციური მჭედლიძე და ლევან წიტიანიშვილი გვასწავლიდნენ ხალხურ სიმღერებს. მალევე ლევანმა ტრადიციული გალობის შესწავლაც შემოგვთავაზა. ვფიქრობ, სწორედ გალობის შესწავლის პროცესში მოხდა ჩვენი ერთ გუნდად შეკვრა და დამეგობრება. 16-20 წლის ბიჭები დიდი მონდომებით და სიყვარულით ვიკრიბებოდით რეპეტიციებზე, ზოგჯერ – ყოველდღეც კი და 4-5 საათი ვმეცადინებოდით.

მ.ხ. – დიდგორის ბრძოლა ყველა ქართველისთვის საამაყო მოვლენაა. როგორც ჩანს, თქვენი ანსამბლის სახელწოდებაც ამ დამოკიდებულების გამოძახილია...

გ.ა. – 2005 წლის შობის დამისთვევის მსახურებაზე მთაწმინდის მამა დავითის ტაძარში მამა იოანემ (კიკვაძე) მოგვისმინა. სწორედ მისი კურთხევით, აღდგომის მარხვაში, წმ. ილია წინასწარმეტყველის ტაძარში დავდექით და მას შემდეგ ამ ტაძრის მგალობლები ვართ. სახელი „დიდგორიც“ მამა იოანემ დაგვარქვა და გაგვაფრთხილა, ისეთი სახელია, მუდამ ბრძოლაში მოგიწევთ ყოფნაო. ეს ნამდვილად საამაყო და საპასუხისმგებლო სახელია, გამარჯვებასთან და თავდადებასთან გაიგივებული. ვფიქრობ, ამ წლების განმავლობაში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სტიმული სწორედ ეს სახელი იყო; სახელი, რომელიც მუდამ გახსენებს – თავდადებისა და სიყვარულის გარეშე ვერ გაიმარჯვებ.

მ.ხ. – გაგვაცანით ანსამბლის წევრები.

გ.ა. – აღსანიშნავია, რომ ანსამბლის შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა 2005 წლის შემდეგ. 2007 წლის ოქტომბრიდან ხელმძღვანელის გარეშე ვმღერით და ვგალობთ. ამჟამად ანსამბლში 16 წევრია: გივი აბესაძე, დავით კუდაშვილი, გედევან ჯინჭარაძე, გივი ბაქრაძე, გრიგოლ კაციტაძე, ნოდარ ქარცივაძე, კახაბერ ჩანგაშვილი, კახაბერ ჩხიკვაძე, კარლო ალავიძე, არჩილ გურგენიძე, ნოდარ ტურმელაძე, ნიკოლოზ ივანაშვილი, ლაშა ფრუიძე, გიორგი ქარცივაძე, გიორგი ყიფიანი, დავით მაღულარია.

სარეპეტიციოდ დატვირთული სამუშაო დღის ბოლოს ვიკრიბებით, კვირაში სამჯერ. შაბათ-კვირას ტაძარში ვგალობთ. ამ საქმემ ისე დაგვაახლოვა, რომ ვერც კი წარმომიდგენია რომელიმე დღე დიდგორელების გარეშე.



სოლო კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში

მ.ხ. – რა ასაკის და პროფესიის ადამიანები ხართ გაერთიანებული გუნდში?

გ.ა. – სხვადასხვა პროფესიის ხალხი ვართ, მუსიკოსი – არცერთი. ყველაზე ახალგაზრდა წევრი 27 წლისაა, ხოლო ყველაზე „ხანდაზმული“ – 38 წლის. ასაკობრივ სხვაობას საერთო ფასეულობები და სიმღერის სიყვარული აბალანსებს. როგორც ძველ საქართველოში, ჩვენც ვცდილობთ, მუდამ გვემღერებოდეს და, ალბათ, მათ მსგავსად, ვმღერით იმას, რასაც ვგრძნობთ, განვიცდით და მოგვდგამს წინაპრებისგან. ბევრ დროს ვუთმობთ ძველი ჩანაწერების მოსმენას, რაც ძალიან გვეხმარება.

მ.ბ. – როგორც ვიცი, თქვენი რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანია დიალექტური თვალსაზრისით.

გ.ა. – სხვა თბილისური ანსამბლების მსგავსად, ჩვენი რეპერტუარიც ჭრელია. ვცდილობთ, საქართველოს ყველა მუსიკალური დიალექტი წარმოვაჩინოთ. თუმცა, დიდგორელების უმეტესობა დასავლეთ საქართველოდან ვართ, რაც დიდ გავლენას ახდენს ჩვენს რეპერტუარზე. განსაკუთრებით, გურულები ჭარბობენ, თანაც, ანსამბლში ორი გურული კრიმანჭული (გედევან ჯინჭარაძე და კახა ჩხიკვაძე) გვყავს. შესაბამისად, ჩვენი სურვილი ურთულესი გურული სიმღერების შესრულების მიმართ არასოდეს ცხრება. თუმცა, აღმოსავლეთის სიმღერებშიც არ ჩამოვრჩებით – დავით კუდაშვილი, ნიკოლოზ ივანაშვილი და გია კაციტაძე საოცარი ეშხით და ხასიათით მღერიან ქართლ-კახურ ნიმუშებს.



ანსამბლი დიდგორი შვეიცარიაში

მ.ბ. – მსმენელი განსაკუთრებული ინტერესით ელის თქვენ მიერ შესრულებულ აფხაზურ სიმღერებს, რომლებსაც მართლაც შეუდარებლად მღერით. რამ განაპირობა თქვენი ამგვარი გატაცება ამ დიალექტით?

გ.ა. – ყველაფერი ნოკო ხურციას „შარათინის“ შესწავლით დაიწყო, რომელიც პირველად ანსამბლ „გეორგიკას“ შესრულებით მოვისმინეთ. მაშინ, 15 წლის წინ, ძველი ჩანაწერები არ იყო ასე ხელმისაწვდომი. მახსოვს, 2006-2007 წლებში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩვენი პირველი სოლო კონცერტისთვის ვემზადებოდით, როდესაც ინტერნეტში ვიპოვე აფხაზური სიმღერის, „აზამატის“ ჩანაწერი. მოსმენისთანავე მოვიხიბლე

და მეორე დღესვე ბიჭებს მოვასმენინე. მოვიძიეთ ტექსტი და მალევე ავაჟღერეთ გუნდში. კონცერტზე მოსულ საზოგადოებას განსაკუთრებულად მოეწონა „აზამატი“. ასე გაღვივდა ჩვენი სიყვარული ამ კუთხის სიმღერების მიმართ. აქვე დავძენ, რომ ინტერნეტში ნაპოვნი აფხაზური სიმღერის ე.წ. „ძველი ჩანაწერი“ კანადური ანსამბლის, „დარბაზის“ ნამღერი აღმოჩნდა, რომელსაც აწ უკვე ჩვენი მეგობარი, ანდრეა კუზმიჩი ასრულებდა (რესპოდენტს ელიმება).

მ.ბ. – როგორც ვიცი, ანსამბლს საკმაოდ დატვირთული შემოქმედებითი ცხოვრება აქვს. რას გვეტყვით ამის შესახებ?

გ.ა. – დაარსების დღიდან ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტ კონცერტსა თუ ფესტივალში მივიღოთ მონაწილეობა, როგორც საქართველოში, ასევე – მის ფარგლებს გარეთ. ანსამბლმა ხშირად უნდა იმღეროს სცენაზე, სხვაგვარად მისი წინსვლა წარმოუდგენელია. ასევე, დიდად ავითარებს ანსამბლს სტუდიური აუდიო ჩაწერის პროცესი. ამ დროისათვის გამოცემული გვაქვს 3 აუდიოალბომი. წლის ბოლოს, ფონდ ქართული გალობის დახმარებით, გამოიცემა ჩვენი დიდი ხნის ნანატრი მეგრულ-აფხაზური სიმღერების ალბომი.

საერთაშორისო პროექტებიდან გამოვარჩევდი „ქართულ მოტივებს“. ამ პროექტმა, რომელიც ლატვიის სახელმწიფო გუნდთან ერთად განხორციელდა, დიდგორი განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა.

სულ ახლახანს ვიმყოფებოდით კანადაში, სადაც 23 დღიანი ტურნე მოვაწყვეთ. ეს დიდგორისთვის პირველი ვიზიტი იყო ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე. მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო ფესტივალში; გავმართეთ სოლო კონცერტები და მასტერკლასები სხვადასხვა ქალაქში.

15 წლის განმავლობაში ჩვენი საგასტროლო მოგზაურობა შემდეგ ქვეყნებს მოიცავს: საფრანგეთი (კორსიკა, ნორმანდია, ბრეტანი), პოლონეთი, ლატვია, თურქეთი, ისრაელი, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, უზბეკეთი, შვეიცარია, გერმანია, ავსტრია, კანადა.

ჩვენს წინაპრებს დიდი მადლობა უნდა გადავუხადოთ – მათი დანატოვარის დამსახურებით, უამრავ ქვეყანას ვესტუმრეთ და გავაცანით ჩვენი მრავალხმიანი კულტურა.

მ.ხ. – რას გვეტყვით 15 წლის იუბილესთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმების შესახებ?

გ.ა. – ვგეგმავთ საიუბილეო სოლო კონცერტს ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში, ფესტივალის „შემოდგომის თბილისი“ ფარგლებში. გვაქვს მოწვევა ლატვიიდან, სადაც ოქტომბრის თვეში გავემგზავრებით. წლის ბოლოს კი აუდიოალბომის პრეზენტაციას ვაპირებთ.

მ.ხ. – თქვენ ერთ-ერთი ბოლო აუდიოალბომის წინასიტყვაობაში წავიკითხე, რომ გაქვთ სურვილი, მომავალში თქვენს შვილებთან ერთად წარდგეთ მსმენელის წინაშე. დარწმუნებული ვარ, უკვე ზრუნავთ ამაზე...

გ.ა. – შეიძლება ითქვას, რომ დიდგორის მთავარი მისია ხალხური სიმღერის მომავალი თაობებისთვის გადაცემაა. იმედი გვაქვს, ჩვენი შვილები აუცილებლად გააგრძელებენ იმ საქმეს, რაც ჩვენ დავიწყეთ და დარწმუნებულები ვართ, გაცილებით უკეთ იმღერებენ და იგალობებენ.

მ.ხ. – ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს და დღეგრძელობას ვუსურვებ დიდგორის დიდ ოჯახს!!!

გ.ა. – დიდი მადლობა.

ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძიანმა

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები

ანსამბლი მასპინძელი (დიდი ბრიტანეთი)

უკვე 20 წელია, რაც *მასპინძელი* ასრულებს უძველეს ქართულ მრავალხმიან ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს. ეს ჯგუფი თავდაპირველად ჩამოაყალიბა ჰელენ ჩადვიკმა, ლონდონში, 1998 წელს, ედიშერ გარაყანიძის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ, მისი შვილის, გიგისტვის თანხის შეგროვების მიზნით. 2000 წელს ჯგუფის მუსიკალური ხელმძღ-

ვანელი გახდა ვენის მენლი, რომელმაც ანსამბლს *მასპინძელი* უწოდა.

თავდაპირველად რეპერტუარი შედგებოდა 1990-იან წლებში ბრიტანეთში ედიშერ გარაყანიძისა და იოსებ ჟორდანიას მასტერკლასებზე შესწავლილი სიმღერებისაგან. სამწუხაროდ, 2004 წელს, როდესაც ჯგუფი ემზადებოდა თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად, ვენის მენლი გარდაიცვალა. გუნდის სამმა წევრმა: ჯეფ ბარტონმა, სალი დევისმა და ლუსი გიბსონმა გადაწყვეტილება მიიღეს, ერთობლივად შეესრულებინათ გუნდის მუსიკალური ხელმძღვანელის როლი. ვენისის დაკარგვით გამოწვეული მწუხარების მიუხედავად, მაინც სასიამოვნო იყო სიმპოზიუმში მონაწილეობა და გურიაში გამგზავრება ფესტივალზე „ჩვენ მშვიდობა“.



ანსამბლი მასპინძელი

2009 წლის აგვისტოში გუნდმა აირჩია თავისი პირველი ქართველი ხელმძღვანელი – თამთა თურმანიძე, რომელიც *მასპინძელს* მარჯთომასთან ერთად უძღვებოდა. მათი ხელმძღვანელობის დროს ჩვენ აღვნიშნეთ ჯგუფის მეათე წლისთავი და ჩავწერეთ ჩვენი პირველი კომპაქტური დისკი. 2013 წელს თამთამ წაგვიყვანა გიორგი გარაყანიძის სახელობის ბათუმის ხალხური და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე.

ჩვენ არაერთხელ გვიმღერია კემბრიჯში, ოქსფორდსა და ბრაიტონში, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც ლონდონში ვმღერით. ცოტა ხნის წინ, დიდი მღელვარებით ვუმღერეთ „მრავალჯამიერი“ ქეთი მელუას 2018 წლის საზაფხულო

სიმღერის ფესტივალზე, ქ-ნ ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანთან ერთად ლონდონის პირველი ქართული სკოლიდან. ჩვენთვის დაუვიწყარია ორ ქართულ გუნდთან ერთად მღერა: 2009 წელს *შავნაბადასთან* და 2011 წელს *ბასიანთან* ერთად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დიდ ბრიტანეთში ვიზიტის დროს.



ანსამბლი მასპინძელი

წლების მანძილზე ჩვენ ვიყავით ქართული კულტურის დამაკავშირებელი რგოლი ქართულ სათვისტომოსთან, სკოლასთან, ეკლესიასთან, საქართველოს საელჩოსთან, ბრიტანეთის ქართულ საზოგადოებასთან და ცეკვის ანსამბლთან *ფესვები*, ასევე, ქართულ რესტორნებთან და ღვინის იმპორტიორებთან ლონდონში. ჩვენ პირველები ვაცნობდით ქართულ მუსიკას არაქართულ აუდიტორიას. მათგან ზოგიერთი ახლა ჩვენთან ერთად მღერის.

2014 წლიდან ჯგუფის მუსიკალური ხელმძღვანელი არის ბერნარდ ბერნსი. ის მუდმივად ეძებს შემოქმედებით გზებს უშუალოდ ქართველი ლოტბარებისგან ნასწავლი შესანიშნავი ხალხური სიმღერების ჩვენზე მოსარგებად. ბერნარდმა პირველმა გვასწავლა ორგუნდოვანი სიმღერები.

მასპინძელს დიდი გამოცდილება აქვს ლონდონში სტუმრად მყოფ ქართველ პედაგოგებთან და ანსამბლებთან მუშაობისა. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ურთიერთობა აწ გარდაცვლილ გიგი გარაყანიძესთან; ასევე, ნანა მჟავანაძესთან, მალხაზ ერქვანიძესთან და ნინო ნანეიშვილთან.

ფრანკ კეინის მუშაობამ დიდი გავლენა იქონია ჩვენს რეპერტუარზე და სიმღერების შესწავლისა და შემსრულებლობისადმი მიდგომებზე.

მასპინძელი ყოველთვის იყო და არის ღია „საზოგადოებრივი გუნდი“, რომელიც თვეში ერთ შაბათ დღეს ატარებს ოთხსაათიან რეპეტიციას. ამ დღეს ჩვენს 30-ვე წევრს საშუალება ეძლევა, ჩამოვიდეს რეპეტიციაზე დასასწრებად ისეთი შორი ადგილებიდან, როგორცაა ბრაიტონი და ბირმინგემი. ჯგუფის წევრების ასაკი 20-დან 80-მდე მერყეობს.

ის წევრები, რომლებიც ედიშერს შეხვედრიან, ხშირად იმეორებენ მისგან შთაგონებულ რწმენას, რომ „სიმღერა ყველას შეუძლია“. ჩვენი აზრით, ქართული ხალხური სიმღერები ხელმისაწვდომი და სასიამოვნოა მათთვისაც კი, ვისაც სიმღერის მცირე გამოცდილება აქვს. *მასპინძელი* კარს უღებს ყველას, ვისი გულიც ანთებულია ქართული სიმღერის შესრულების ინტერესით. მაგალითად, ქეროლაინ ბითელის პრეზენტაციაზე ანსამბლის წევრებს შეხვდა ერთი ქართველი ბატონი, რომელიც წლებია დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს. ის შემოგვიერთდა და ჩვენთან ერთად სწავლობს ქართულ ხალხურ სიმღერებს, რისი საშუალებაც ბავშვობაში არ მიეცა საქართველოში.

ანსამბლ *მასპინძლის* ხელმძღვანელები:

სუზან თომსონი – დირექტორი, ჯეფ ბარტონი – ყოფილი მუსიკალური ხელმძღვანელი, ბერნარდ ბერნსი – ამჟამინდელი მუსიკალური ხელმძღვანელი.

კონტაქტი: www.maspindzeli.org.uk

თელაველები (ნაწილი II)

შაქრო ლომიძე პირველად მომღერალ ვასო მამუკელაშვილს „აღმოუჩენია“: „თექვსმეტი წლისა იყო შაქრო, როდესაც ზუზუმბოზე თამბაქოს თოხნაში ვნახე, მისმა სიმღერის ხმამ ისე მომხიბლა, რომ მაშინვე წავიყვანე ტიტო მგალობლიშვილსა და შაქრო ჭელიძესთან. მათ მოუსმინეს შაქროს და გაოცდნენ“.



შაქრო ლომიძე

შაქრო ლომიძის ქალიშვილი, ლია ლომიძე მოგვითხრობს: მამა ბუნებით მეტად კეთილშობილი კაცი იყო. უყვარდა ყველა: ნათესავი, მეგობარი, თანამშრომელი, გუნდის წევრი, ყველაზე მეტად კი მაინც სიმღერის ტრფიალი იყო. გუნდის მეცადინეობაზე მოვალეობა კი არა, სიმღერის სიყვარული ეწეოდა. ყველა საქმეს თავს დაანებებდა და რეპეტიციას მაინც არ გააცდენდა. მღეროდა ნამდვილი ხელოვანის ძალით და ნამღერში მთელ თავის სულს და გულს აქსოვდა. სიმღერის სიყვარული შვილებსაც გადმოგვედო. მუსიკალური ოჯახი გვექონდა: მღეროდა დედაჩემი – მარიამ ბოჭორიძე, ჩემი ძმები – ანზორი და რობერტი. მამა შემოგვისხამდა შვილებს და ხალხურ სიმღერებს გვასწავლიდა. რობერტი მამაჩემის კვალს გაჰყვა – მღეროდა საქართველოს სახელმწიფო ანსამბლში, ფილარმონიასა და კაპელაში. მამამ ბევრი ახალგაზრდა აზიარა ქართული ხალხური სი-

მღერის მადლს და კიდევ ბევრ კარგ საქმეს გააკეთებდა, უდროოდ რომ არ გარდაცვლილიყო.

შაქრო ლომიძე დაიბადა 1910 წლის 10 მაისს თელავში. მამამისი – იაგორა ლომიძე მჭედელი იყო და პატიოსანი შრომით არჩენდა ცოლსა და სამ შვილს. დიდედაჩემს, მალუცას, კონდოლელ ქალს, სუფთა, წვრილა, სასიამოვნო ხმა ჰქონდა და შვილებსაც ასწავლიდა სიმღერებს. შეიძლება, დედამ და მისმა ხმამ შეაყვარა მამაჩემს ხალხური სიმღერა და ამიტომაც მის მსახურად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

ხელმოკლეობის გამო მამამ საშუალო განათლებაც ვერ მიიღო. მხოლოდ ოთხი კლასი დაამთავრა. თექვსმეტი წლისა უკვე მღეროდა სამოქალაქო ეთნოგრაფიულ გუნდში და იქიდანვე მიიპყრო ლოტბართა ყურადღება. მისი ზარივით წვრილა ხმა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელზე. გუნდში ყოველთვის წამყვანი სოლისტი იყო და პირველობას არავის უთმობდა – არც ჰყავდა მეტოქე. მის მიერ გიორგი ამუზაშვილთან ერთად შესრულებული ქართლ-კახური სიმღერები, განსაკუთრებით „მრავალყამიერი“ ქართული ხალხური სიმღერების ოქროს ფონდშია შეტანილი.

საინტერესო შემადგენლობით გამოირჩეოდა სამოქალაქო გუნდი გასული საუკუნის 30-იან წლებში. მასში მამაჩემთან ერთად მღეროდნენ: შაქრო ჭელიძე, ვასო მამუკელაშვილი, გიორგი ამუზაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, ალექსი გულიაშვილი, გიორგი ჩიკვაძე, ფირუზ მახათელაშვილი, გაიოზ ბაქრაძე, ვახტანგ ზაალიშვილი და ჩემი ბიძები – მათე, ლუკა და მიტო ბოჭორიძეები... თელავის ეთნოგრაფიულმა გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია 1936 წელს, მხატვრული თვითმოქმედების პირველ ოლიმპიადაზე, სადაც პირველი ადგილი დაიკავა. მაშინ მამა „კახური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის“ დააჯილდოვეს.

შაქრო ლომიძე არაჩვეულებრივი შემსრულებელი და კარგი ლოტბარი იყო. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სკოლების, სასოფლო კულტურის სახლებისა და დაწესებულებების ანსამბლებსა და გუნდებს (კურდღელაურის, აკურის, კისისხევის, თელავის სამედიცინო სასწავლებლის). ბავშვივით ახარებდა წარმატება, სახე

გაუცისკროვნდებოდა, როცა შრომას დაუფასებდნენ.

ცალკე საუბრის თემაა მამაჩემისა და გიორგი ამუხაშვილის სიმღერა და მეგობრობა. ეს დუეტი წლების განმავლობაში ატკობდა მსმენელს და, მადლობა ღმერთს, მათი ნამღერი ჩაწერილია. თელაველი მომღერლებისაგან (ლომიძე-ამუხაშვილი-ფეიქრიშვილი) ოთარ ჩიჯავაძემ მრავალი სიმღერა ჩაიწერა და 1961 წელს კრებულადაც გამოსცა.

მამაჩემმა და გიორგი ამუხაშვილმა ნახევარ საუკუნეს ვერ გადააბიჯეს. ორივე მოულოდნელად გარდაიცვალა: გიორგი ამუხაშვილი 48 წლისა, მამა – 50-ისა (დაკრძალულია თელავში). ეს უდიდესი დარტყმა იყო თელავის გუნდისათვის. საბედნიეროდ, გუნდში დარჩა მისი დამამშვენებელი ხმა – გიორგი ფეიქრიშვილი. ამ განმუშეორებელი მომღერლების ტრადიციები გააგრძელეს შალვა და დავით მარკოზაშვილებმა, შალვა ბიძინაშვილმა, ავთანდილ შაშურაშვილმა, ჯემალ ჩოთალიშვილმა“.

გიორგი ფეიქრიშვილი დაიბადა 1898 წელს, თელავის რაიონში, სოფელ კონდოლში, გლეხის ოჯახში. სწავლა-განათლება არ მიუღია. პატარაობიდანვე კარგი ხმა ჰქონდა, უყვარდა სიმღერა. ხალხური სიმღერების მეტს არაფერს უსმენდა და დიდი ინტერესითა და სიყვარულით სწავლობდა ძველი ცნობილი მომღერლებისაგან.



გიორგი ფეიქრიშვილი

როგორც თავად ამბობდა, კახეთში არ დარჩენილა სიმღერა, რომ მას არ სცოდნოდა და არ


ემღერა. იყო პირველი ხმა, რომელიც არაჩვეულებრივად ჰქონდა შეწყობილი გიორგი ამუხაშვილთან.

1927 წელს გიორგი ფეიქრიშვილი თელავის ეთნოგრაფიულ გუნდში მიიწვიეს, რომელსაც ტიტო მგალობლიშვილი ხელმძღვანელობდა. 1936 წელს იგი თბილისის სახელმწიფო ანსამბლში გადაიყვანეს სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით. თუმცა, მას შემდეგ, რაც 1940 წელს ფირუზ მახათელაშვილმა თელავის ეთნოგრაფიული გუნდი აღადგინა და თელავის რაიონის საუკეთესო მომღერლები შეაგროვა, კვლავ თელავს დაუბრუნდა. 1944 წლიდან ანსამბლმა მიიღო „სახელმწიფო ანსამბლის“ წოდება და მას შემდეგ არ ჩატარებულა არც ერთი რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომ მონაწილეობა არ მიეღო. 1952 წელს რაიონებში სახელმწიფო ანსამბლები გაუქმდა, მაგრამ გიორგი ფეიქრიშვილმა გააგრძელა მუშაობა თელავის რაიონულ კულტურის სახლთან არსებულ მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივში.

გიორგი ფეიქრიშვილი თელავის გუნდში 1976 წლამდე მღეროდა. იგი 82 წლისა გარდაიცვალა და სოფელმა მშობლიურ კონდოლში დიდი პატივით დაკრძალა.

გიორგი ამუხაშვილი დაიბადა 1906 წელს სოფელ კონდოლში. რვა თვისას დედა დაღუპვია და მეზობელ მოხუც ქალს გაუზრდია. ლამაზი, ცოცხალი ბავშვი ყოფილა და მეზობლებს ძალიან ჰყვარებიათ. ჯერ კიდევ ბავშვობისას, მოხუც მეზობელს სტუმრები რომ მოუვიდოდნენ, მათთან პატარა ობოლი მიჰყავდათ და ამღერებდნენ. უყვარდა მოხუცებულები, მათგან ისწავლა პატარა გიორგიმ სიმღერები. თელავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში გიორგი ჯერ შიო ბაბალაშვილთან მღეროდა, შემდეგ – ფირუზ მახათელაშვილთან. თბილისიდან ჩამოსულმა გრიგოლ კოკელაძემ ამუხაშვილ-ფეიქრიშვილისაგან ჩაიწერა სიმღერები: „ჩაკრულო“, „სუფრული“ და „შაშვიკაკაბი“. კოკელაძე იმდენად აღაფრთოვანა გიორგის ხვეწვით, რომ თბილისში წაიყვანა და სანდრო კავსაძის გუნდში ჩარიცხა, სადაც მან ორი-სამი წელი დაჰყო. ვენახისა და მამულის მოყვარულმა კაცმა ვერ გაძლო თბილისში, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და ისევ თელავის გუნდში გააგრძელა სიმღერა. მან გიორგი ფეიქრი-

შვილთან ერთად კონდოლელი მომღერლებისაგან ნასწავლი სიმღერებით გაამდიდრა რეპერტუარი, განსაკუთრებით საყურადღებოა „შემომახილის“ კონდოლური ვარიანტი და „შაშვი-კაკაბი“.



გიორგი ამუხაშვილი

1941 წელს გიორგი ომში წავიდა, იქიდან დაჭრილი ჩამოვიდა და ისევ განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა. უდროოდ გარდაცვლილი 21 წლის შვილის სიკვდილმაც ვერ აიძულა მიეტოვებინა საყვარელი საქმე. მღეროდა და თან ტიროდა ცხოვრებისგან დაჩაგრული კაცი. ყველა დავალიერება-ოლიმპიადიდან სიგელებით, დიპლომებითა და მედლებით დაჯილდოებული ბრუნდებოდა. სიკვდილამდე მღეროდა ფირუზ მახათელაშვილის გუნდში. ყველა სიმღერაში მეორე ხმას ამბობდა, გარდა „ზამთარისა“.

გიორგი ამუხაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 48 წლის ასაკში. იგი მშობლიურ თელავში დაკრძალეს. თბილისიდან დაკრძალვაზე ჩამოიტანეს გვირგვინი, რომელშიც ჩაწერილი იყო სიმღერა-წყვილი ფანდური წარწერით: „ვაგლახ, რომ ჯერ ადრე იყო, ძალიან ადრე, ასეთი ბუღბუღის დაკარგვა“.

ზაია ასიეშვილი
*ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის
მთავარი რედაქტორი*

„საქართველო ყველაზე იდუმალი ქვეყანა“ – გალობის უნივერსიტეტისა და ნოტრ დამის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის დღიურებიდან

2019 წლის 7 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების ნოტრ დამის უნივერსიტეტის საეკლესიო მუსიკის პროგრამის 7 სტუდენტი სტუმრობდა. გალობის უნივერსიტეტსა და ნოტრ დამის უნივერსიტეტს შორის გაცვლითი პროგრამა უკვე მეორე წელია ხორციელდება. ყველაფერი კი 2016 წლის მაისში დაიწყო, როდესაც მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი, გალობის უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ლექსო თორაძე უნივერსიტეტს ეწვია. მას თან ახლდა ამერიკელი სტუმრები – ელის და რექს მარტინების ოჯახი და ელისაბედ ბორგერი, რომელთა საქველმოქმედო ფონდები გვევლინება აშშ-ში ნოტრ დამის უნივერსიტეტის სპონსორებად. გალობის უნივერსიტეტში სტუმრობამ და გულთბილმა მასპინძლობამ სამომავლო თანამშრომლობის იდეაც დაბადა. მოგვიანებით ელის მარტინის შემოწირულებით გალობის უნივერსიტეტში ქალთა სახელოსნო დაარსდა, 2017 წლიდან კი ეს თანამშრომლობა გაცვლით პროგრამაში გადაიზარდა, უნივერსიტეტებს შორის 5-წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა და 2018 წლის გაზაფხულზე, ნოტრ დამის უნივერსიტეტის საეკლესიო მუსიკის პროგრამის 4 სტუდენტი, ელის მარტინის სახელობის სტიპენდიის ფარგლებში, საქართველოში ჩამოვიდა.

სტუდენტები 2 კვირის განმავლობაში ინტენსიურად სწავლობდნენ ქართულ სიმღერა-გალობას, ხალხური სიმღერისა და კულტურის ისტორიას. ისინი ეწვივნენ კახეთს, მცხეთას. ამ დროის განმავლობაში მათი პროგრამა ქართული მატერიალური კულტურის გაცნობასაც ითვალისწინებდა. ამერიკელი ახალგაზრდები გალობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად 26 მაისს ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიასაც კი ეწვივნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ოკუპაციის ხაზთან ახლოს აღნიშნეს. ამერიკელი ახალგაზრდები ემოციებით დატვირ-

თული გაემგზავრნენ სამშობლოში და ქართველ მეგობრებს ამერიკაში გულთბილ მასპინძლობას შეპირდნენ.

2019 წლის იანვარში გალობის უნივერსიტეტიდან ამერიკაში 8 ახალგაზრდა გაემგზავრა: ზურაბ მამუკელაშვილი, ზაზა ზურიაშვილი, ანა ლოლაშვილი, ნინო ბექაური, ნინო რეხვიაშვილი, დავით ცერცვაძე, მარიამ ბოკუჩავა და დავით კოლეილიშვილი. გაცვლითი პროგრამის ფინანსური მხარდამჭერი საქართველოს მხრიდან ფონდი ქართული გალობაა.



ნოტრ დამის უნივერსიტეტის სტუდენტები გალობის უნივერსიტეტში

ნოტრ დამის უნივერსიტეტი ამერიკის უნივერსიტეტთა რიგებში მე-18 ადგილს იკავებს და მდიდარი წარსულით გამოირჩევა. იგი 1842 წელს „წმინდა ჯვრის კონგრეგაციის“ ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ედვარდ სორინმა დააარსა. შესაბამისად, უნივერსიტეტის საეკლესიო მუსიკის მიმართულების მთავარი მიზანი კათოლიკური ტაძრებისთვის მუსიკოსების აღზდაა, მათ შორის, მგალობლების, დირიჟორების, ორღანისტების. მთელი სასწავლო პროგრამა მორგებულია საეკლესიო პრაქტიკას, აქაური სტუდენტები კი მაქსიმალურად არიან ჩართული ყოველდღიურ ღვთისმსახურებაში. თეორიული საგნების მოდული, დასავლურთან ერთად, მოიცავს აღმოსავლურ ქრისტიანულ და მსოფლიო ხალხების მუსიკას.

უნივერსიტეტში ცალკე დარბაზებია ორღანისა და საორღანო მუსიკისთვის, ორღანი ჟღერს უნივერსიტეტის ტაძარშიც. საეკლესიო მუსიკის დარგში აქ მოღვაწეობს ორი ცნობილი პროფესორი – პიტერ ჯეფრი და მარგო ფასლერი.


სწორედ ისინი იყვნენ გაცვლითი პროგრამის ხელმძღვანელები და უშუალო კოორდინატორები. 2018 წლის მაისში პროფესორ მარგო ფასლერის მიერ გამოგზავნილი პირველი გეგმის თანახმად, ამერიკაში ვიზიტი 4-დღიანი უნდა ყოფილიყო და გულისხმობდა მხოლოდ გალობის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონცერტსა და ლექციამასტერკლასებს. მოგვიანებით, პროგრამა გამდიდრდა კულტურული და სპორტული აქტივობებით. საბოლოოდ კი, ამერიკაში გატარებული ერთი კვირა მეტად საინტერესო და დატვირთული აღმოჩნდა. ქართველი ახალგაზრდები დაესწრნენ ლექციებს, მონაწილეობა მიიღეს ნოტრ დამის სტუდენტებისა და ბავშვთა გუნდისთვის გამართულ მასტერკლასებში. კონცერტი-შეხვედრა გაიმართა ევროპული კვლევების ინსტიტუტის სპეციალისტებისთვის. ქართველი სტუდენტები დაესწრნენ მესას, რომელშიც ნოტრ დამის სტუდენტების გაერთიანებული გუნდი მონაწილეობდა; ასევე მოისმინეს ორი ლექცია „მსოფლიო მუსიკალური კულტურისა და მსოფლიო ქრისტიანობის“ და „რენესანსული სასიმღერო ტრადიციების“ შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართული არიან ქართული გალობის ამერიკელი მკვლევარი, დოქტორი ჯონ გრემი და მისი მეუღლე ეკატერინე დიასამიძე. ორივე მათგანმა საინტერესო მოხსენება წარუდგინა ნოტრ დამის აუდიტორიას ქართული გალობის ისტორიის შესახებ. ქართული სიმღერა-გალობის მასტერკლასები ჩაატარეს გალობის უნივერსიტეტის პედაგოგებმაც – ზურაბ წკრიალაშვილმა და თეონა რუხაძემ.

ქართველი სტუდენტების გუნდმა საგანგებო სოლო კონცერტი გამართა, რამაც აღაფრთოვანა ამერიკელი ახალგაზრდები და პროფესორ-მასწავლებლები. კონცერტის პროგრამით წარმოდგენილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მუსიკალური დიალექტის ნიმუში, ასევე სამგალობლო სკოლების – შემოქმედის, გელათის, ქართლ-კახური კილოს – მარგალიტები.

კონცერტს ესწრებოდა პროფესორი კლეიტონ პარი, რომელიც ამჟამად მიჩიგანში მოღვაწეობს და მრავალი წელია ამერიკაში ქართულ გუნდს ხელმძღვანელობს. იგი საგანგებოდ ამ კონცერტისთვის ეწვია ნოტრ დამის უნივერსიტეტს. როგორც კონცერტის ბოლოს პროგრამის

ამერიკელი ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ, ბოლო სამი წლის განმავლობაში გალობის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონცერტი ნოტრ დამის უნივერსიტეტის დარბაზში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, წარმატებული და ამაღლებული ღონისძიება იყო.



გალობის უნივერსიტეტის სტუდენტური გუნდის კონცერტის აფიშა ნოტრ დამის უნივერსიტეტში

დიდი იყო ამერიკელ სტუდენტთა ქართული გალობით დაინტერესებაც, ისინი უკლებლივ ყველა ლექციას ესწრებოდნენ და უამრავ კითხვას სვამდნენ ქართული პოლიფონიის შესახებ. „განსაკუთრებული ინტერესითა და ხალისით ისმენდნენ კრიმანჭულს. ამერიკელთა მოწონება და ინტერესი დაიმსახურა ფერხულებმა და საცეკვაო სიმღერებმაც. როგორც გალობის უნივერსიტეტის სტუდენტები იხსენებენ, მასტერკლასის შემდეგ მორიგ შეხვედრაზე არა მარტო სტუდენტები, არამედ ამერიკელი პედაგოგებიც ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ცდილობდნენ ჩაბმულიყვნენ ფერხულებში, ესწავლათ საცეკვაო ილეთები და სიმღერის თანხლებით შეესრულებინათ.

გალობის უნივერსიტეტის სტუმრობამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელ ახალგაზრდებზე, იმდენად ძლიერი მეგობრობა, პატივისცემა და სიყვარული წარმოიშვა მათ შორის, რომ ამჯერად საქართველოში წამოსვლის მსურველ სტუდენტთა რაოდენობა წარ-

მოუდგენლად ბევრი აღმოჩნდა. საბოლოოდ, კენჭიც კი ყარეს, თუ ვის ხვდებოდა წილად საქართველოში ჩამოსვლა.

2019 წლის 7 მაისს ნოტრ დამის უნივერსიტეტის 7 სტუდენტი საქართველოს და გალობის უნივერსიტეტს ეწვია. ორკვირიანი პროგრამა კვლავ დატვირთული და საინტერესო აღმოჩნდა მათთვის. მასპინძლებმა სტუმრებს საინტერესო ლექციები და ვორკშოპები შესთავაზეს ქართული გალობის, ქართული დამწერლობის, ლიტერატურის ისტორიის, მრავალხმიანობის, ცეკვისა და, ზოგადად, კულტურის შესახებ. სტუმრებმა დაათვალიერეს ძველი თბილისი, მცხეთა, უფლისციხე, ატენის სიონი და ქართული კულტურის სხვა უძველესი ძეგლები. დაესწრნენ სიმფონიური მუსიკის კონცერტებს.

ამერიკელ სტუდენტებს უმასპინძლა ამერიკის საელჩომაც. ახალგაზრდები ემოციებს ვერ ფარავდნენ. „სიმღერა ქართველების დნმ-ის ნაწილია, – აღტაცებით აღნიშნავდნენ ისინი, – საქართველო ყველაზე იდუმალი ქვეყანაა ამ რეგიონსა და მსოფლიოში. ეს ქვეყანა აქამდე უცნობი იყო ჩვენთვის, ახლა კი შეგვიყვარდა ის, მისი კულტურა, ხალხი, მუსიკა, ტრადიციები... ვუყურებთ და ვხედავთ, როგორ ამაყობს ქართველი ხალხი ამ ყველაფრით“.

ორკვირიანი პროგრამის ბოლოს, 15 მაისს, გალობის უნივერსიტეტში ტრადიციული წვეულება გაიმართა ამერიკელი სტუმრების გასაცილებლად. წვეულებაზე მასპინძელმა უნივერსიტეტმა ნოტრ დამის უნივერსიტეტის სტუდენტებს გაცვლითი პროგრამის კურსის წარმატებით დასრულებისათვის სერტიფიკატები გადასცა.

ქართული კულტურითა და სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებული ამერიკელი ახალგაზრდები კვლავ ვერ ფარავდნენ ემოციებს და სიყვარულს. „ქართველები დიდ ყურადღებას აქცევენ ურთიერთობებს. ასეთ რამეს ხშირად ვერ ნახავთ ამერიკაში. რა თქმა უნდა, ამერიკაშიც არის მეგობრობა, მაგრამ აქ ეს კავშირი უფრო მჭიდროა. სწორედ ეს არის ის გამოცდილება, რისი წაღებაც ჩვენ შეგვიძლია ამერიკაში“, – ამბობდნენ ისინი.

რევაზ შანიძის ქართული ტრადიციული მუსიკის სტუდია



ნოტრ დამის უნივერსიტეტის სტუდენტები გალობის უნივერსიტეტის სერტიფიკატებითა და საჩუქრებით

ორ უნივერსიტეტს შორის გაცვლითი პროგრამა კვლავაც გრძელდება და სამომავლოდ უფრო მეტი საინტერესო ღონისძიება, სამეცნიერო თუ სასწავლო აქტივობა იგეგმება.

მოამზადა თამარ ასათიანმა

სტუდიის ჩამოყალიბება დაიწყო 2011 წელს, მას შემდეგ, რაც დავამთავრე თბილისის სასულიერო სემინარია და გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი (მაშინდელი საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებელი). მიუხედავად ჩემი ასაკისა, ანსამბლთან მუშაობის საკმაო გამოცდილება მქონდა. თუმცა, ბავშვებთან მუშაობის დაწყება ჩემთვის ახალი გამოწვევა იყო, ამიტომ არ დამისახავს რაიმე კონკრეტული მიზანი – უბრალოდ შევუდექი საქმის კეთებას, ძალდაუტანებლად, საფუძვლიანად და აუჩქარებლად. ღვთის შეწევნით, ქართული ტრადიციული მუსიკის შესწავლის მსურველებმა ნელ-ნელა იწყეს მატება და 1 ბავშვით დაწყებული საქმე 3 ჯგუფამდე ავიდა. ამჯერად ანსამბლში ცამეტი წევრია – 7 ვაჟი და 6 გოგონა.



რევაზ შანიძის ქართული
ტრადიციული მუსიკის სტუდია

თავიდანვე მინდოდა, ბავშვებს ყველა კუთხის მუსიკალური ნიმუშისათვის გაეგოთ გემო. თითო დიალექტიდან ვასწავლი 4 სიმღერას, რომ ამ დიალექტის ყველა ძირითადი მახასიათებელი იცოდნენ. მაგალითად, სვანური ფოლკლორიდან ვსწავლობთ როგორც საფერხულო სიმღერას, ისე ნიმუშს საკრავების თანხლებით (ჩანგი-ჭუნირი), საცეკვაოს (ტაშით) და რომელიმე უთანხლებო

გუნდურ სიმღერას. ანალოგიურად ვსწავლობთ სხვა კუთხეების ნიმუშებსაც. ვარჩევ ისეთ სიმღერებს, რომლებსაც ბავშვები დაძლევენ და მოიხდენენ. ჯერჯერობით თავს ვიკავებ გურული კრიმანჭულისა და კახური „ჩახვევებისაგან“.

ანსამბლში სიმღერებს ძირითადად შერეული შემადგენლობით ვასრულებთ. თუმცა, ქალთა და მამაკაცთა რეპერტუარის მკვეთრად გამოკვეთილ ნიმუშებს უკვე ვანაწილებ ბიჭებსა და გოგონებზე.

სტუდიის სახელწოდებიდან გამომდინარე, ვცდილობ, სიმღერების სწავლებაც ტრადიციული მეთოდით – ზეპირად წარვმართო. მას შემდეგ, რაც გუნდი გამართავს ჩემ მიერ ნასწავლ სიმღერას, ვურიგებ ძველ აუდიოჩანაწერებს, რომ სიმღერის ხასიათი, საშემსრულებლო მანერა და ქართული ბგერათრივის თავისებურებები გაითავისონ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები შეეცადონ, იმღერონ ისე, როგორც მათი დიდოსტატი წინაპრები მღეროდნენ. რაც შეეხება გალობის სწავლებას, თბილისის მასშტაბით ჩვენ პირველებმა დავიწყეთ საგალობლებში ნევმების გამოყენება, ცხადია, მარტივ დონეზე, თუმცა გართულების პერსპექტივით.

ანსამბლს არეპეტიციები თბილისში, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ლურჯი მონასტრის ეზოში აქვს, რისთვისაც დიდად ვმადლობთ ამ ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ დავით შარაშენიძეს.

სამომავლოდ ვგეგმავთ პირველი აუდიო-ალბომის ჩაწერას, გამოცემასა და პრეზენტაციას. სტუდიის აღსაზრდელებს ამ დროისთვის შესწავლილი აქვთ პარაკლისის სრული რეპერტუარი და აპირებენ კვირაში ერთხელ იგალობონ ტაძარში. სექტემბრიდან ჩაწერების პარალელურად ვიწყებთ სასიმღერო რეპერტუარის განახლებას. რაც შეეხება გალობას, პარაკლისის მსახურების პრაქტიკის გამოძულებების შემდეგ, ბავშვები წირვა-ლოცვის საგალობლებსაც შეისწავლიან.

რევაზ შანიძე

სტუდიის ხელმძღვანელი

ერთი ხეობის ფოლკლორი სცენაზე – ანსამბლი ჭვანა

10 ივნისს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა კონცერტი-გამოფენა „ერთი ხეობის ფოლკლორი – ჭვანა“. საღამოზე წარმოდგენილი იყო შუახვევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობის უნიკალური ტრადიციული სასიმღერო, საცეკვაო, ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშები და ეთნოგრაფიული გამოფენა.

2017 წლიდან გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტისა და ფონდ ქართული გალობის ორგანიზებით ხორციელდება სტუდენტური დასაკემების პროგრამა, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეგიონებში არსებულ გუნდებთან იმუშაონ ადგილობრივი ტრადიციული სიმღერების აღდგენაზე. აღნიშნული ღონისძიება ამ პროგრამის ჭვანის ხეობაში განხორციელების დემონსტრირებაა. ადგილობრივი ტრადიციული სიმღერების აღდგენაზე იმუშავებს გალობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა: ნათია აზარაშვილმა, ნინო რეხვიაშვილმა, ილია ხვიჩიამ და გიორგი ჯოლბორდმა, გალობის უნივერსიტეტის გოგონათა სახელოსნოს ხელმძღვანელთან, თეონა რუხაძესთან ერთად.

სცენაზე გაცოცხლდა 1930-იან, 50-იან და 70-იან წლებში ჭვანას ხეობაში ჩაწერილი ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერები, რომლებიც დაცულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტსა და ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის არქივებში.

პროექტი განხორციელდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის, საქველმოქმედო ფონდ ქართული გალობის, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურის ცენტრის, ტმკსც-ის სპეციალისტის, ნინო რაზმაძის ორგანიზებით.

პროექტის მხარდამჭერები არიან: თსკ-ის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტი-

ტუტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ და მეღვინეობა „შილდა“.

ქართულ-უცხოური ოჯახები ქართული ტრადიციების სადარაჯოზე (ნაწილი II)

ანდრეა კუზმიჩისა და შალვა მახარაშვილის ოჯახი



ანსამბლი *ჭვანა* კონსერვატორიის
დიდი დარბაზის სცენაზე

კონცერტის შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში საზეიმო გარემოში გაფორმდა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი საქველმოქმედო ფონდ *ქართულ გალობას*, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, რომლის თანახმად: 1. 2020 წლისთვის მომზადდება სანოტო კრებული აუდიოდისკებით „ჭვანას ხეობის სამუსიკო ფოლკლორი“; 2. გაგრძელდება შუახვევის მუნიციპალიტეტის ანსამბლების მხარდაჭერა; 3. გაგრძელდება სტუდენტური დასაქმების პროგრამა; 4. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს ადგილობრივი ანსამბლების სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებაში მონაწილეობას.

შალვა მახარაშვილი – ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინერი, ქალაქ რუსთავიდანაა, ანდრეა კუზმიჩი კი – ინგლისური ენის პედაგოგი და მუსიკოსი (მასწავლებელი, შემსრულებელი, მკვლევარი, კომპოზიტორი) კანადელია. მათ ერთმანეთი კანადაში გაიცნეს და ოჯახის შექმნის დღიდან ქალაქ ტორონტოში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

შალვა მახარაშვილი: მე და ანდრეა ერთმანეთს 1999 წლის შემოდგომაზე შევხვდით. ანდრეა ტორონტოს ქართულ გუნდში, დარბაზში მღეროდა, მე კი რუსთავის ანსამბლ *ჭერეთთან* ერთად საგასტროლოდ ჩავედი კანადაში. ჩვენ ინგლისური არ ვიცოდით, მათ – ქართული, მაგრამ ამის კომპენსაცია ერთობლივი სიმღერა იყო, რომელიც უზარმაზარ სიამოვნებას გვანიჭებდა ქართველებსაც და კანადელებსაც. ამის შემდეგ კიდევ დავგეგმეთ კონცერტები და ჩვენი გზებიც ისევ გადაიკვეთა. ასე რომ, ქართულმა სიმღერამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენი ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. გაცნობიდან ორ წელიწადში, 2001 წელს ჩვენ ვიქორწინეთ და ტორონტოში დავსახლდით.

ქართული ხალხური სიმღერა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. განსაკუთრებით ამას მაშინ ვგრძნობთ, როცა კონცერტები და მასტერკლასები გვაქვს.

ჩვენ ორი შვილი გვყავს: 16 წლის ლუკა და 10 წლის გაბრიელი. ორივე მღერის. უფროსი, 2 წლის ასაკში ჰყვებოდა თხუთმეტივე სიმღერას ტრიო *ზარის* აუდიოალბომიდან. უმცროსი კი ჩვილობის ასაკიდან არჩევდა „ქობულეთურ ნადურს“ ყველა სხვა სიმღერისგან!

რაკი ჩვენ ორივე ანსამბლებში ვმღეროდით, ჩვენი შვილებიც პატარობიდანვე ესწრებოდნენ ჩვენ რეპეტიციებს, ამიტომ, ბუნებრი-

ვია, ქართული სიმღერების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ ამ დროს ისწავლეს.

დღეს ორივე მათგანს აქვს საშუალება, მოსინჯოს ძაღლები მუსიკის სხვადასხვა მიმართულებაში. უფროსი ვაჟი სხვადასხვა დროს მღეროდა ტორონტოს რამდენიმე ახალგაზრდულ გუნდში, სადაც დაეუფლა მუსიკის შესრულების სხვადასხვა ხერხს.

ლუკაც და გაბოც მონაწილეობენ ანდრეას საზაფხულო ბანაკებში. ორივე უკრავს ფორტეპიანოსა და გიტარაზე. რაც შეეხება ქართულ სიმღერებს, ანდრეა ზრუნავს მათთვის სიმღერების ძირითადი მონახაზის სწავლებაზე, მე კი ვცდილობ, ავთენტური შესრულებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები შევიტანო მათ ნამღერში.

სულ ცოტა ხნის წინ ლუკამ ინტენსიურად დაიწყო ქართული სიმღერების შესწავლა და ჩვენთან ერთად მონაწილეობს ტორონტოში გამართულ ფესტივალებში. რაც შეეხება გაბოს (გაბრიელს), ის უკვე თავისი სახელობის ტრიოს წევრია და თბილისის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმზეც იმღერა.



ანდრეა კუზმიჩისა და შალვა მახარაშვილის ოჯახი

ეს ამბავი 2016 წელს დაიწყო. ანდრეა და მისი კოლეგა, მარიო მორელო დათანხმდნენ ტრადიციული მრავალხმიანობის მერვე საერთაშორისო სიმპოზიუმში მომხსენებლების სტატუსით მონაწილეობას, თუმცა, რაკი ისინი 4 წელზე დიდი ხნის მანძილზე ერთად მღეროდნენ, გადაწყვიტეს, მონაწილეობა მიეღოთ სიმპოზიუმის ფარგლებში გამართულ კონცერტებ-

შიც 8 წლის გაბრიელთან ერთად, რომელმაც უკვე ბევრი ქართული სიმღერა იცოდა.

სიმპოზიუმის შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას, ბოლნისის კონცერტის დასასრულს, ნინო ნანეიშვილმა ანსამბლი „გაბოს ტრიოდ“ მოიხსენია, რაც ძალიან მოგვეწონა და სახელი აღარ შევუცვალეთ. თუმცა, ამის შემდეგ ტრიო მხოლოდ 2018 წლის აგვისტოში შეიკრიბა, როცა თბილისში მეცხრე სიმპოზიუმზე მიიწვიეს. თუ 2016 წელს რეპერტუარზე ძირითადად მე ვიზრუნე, ამჯერად ანდრეამ თავად შეარჩია სიმღერები, მათ შორის, ორი უკრაინული. მნიშვნელოვანი იყო 4 კონცერტი თბილისში გამგზავრებამდე ერთი თვით ადრე, რომლებმაც სრულფასოვანი რეპეტიციების როლი ითამაშა.

ჩვენს რეპერტუარს ძირითადად ქართული ანსამბლების აუდიოალბომებიდან, ასევე, სხვადასხვა გაციფრებული საექსპედიციო ჩანაწერებიდან ვიღებთ. ძალიან გვებმარება youtube და soundcloud. გარდა ამისა, საქართველოში მოგზაურობისას ვიწერთ სიმღერებს ცნობილი ქართველი მომღერლებისგან (ტრისტან სიხარულიძე, ისლამ ფილფანი, მალხაზ ერქვანიძე, ქეთევან მინდორაშვილი). წელს, სიმპოზიუმის შემდეგ ანდრეამ იმოგზაურა მთიან აჭარაში, სადაც ჯერჯერ და ბესო თურმანიძეებისგან ჩაიწერა აჭარული ნიმუშები, თბილისში კი ლევან ბითაროვმა ჩააწერინა რამდენიმე სიმღერა. ჩვენ ერთად ვუსმენთ ამ ჩანაწერებს, სიმღერების სხვადასხვა ვარიანტებს და ვცდილობთ, მათ შორის ისეთი შევარჩიოთ, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებით „შინაური“ იქნება.

ჩემი აზრით, ყველაზე კარგად გურული და მეგრული სიმღერები გამოგვდის, თუმცა, ვცდილობთ, მოვიცვათ საქართველოს ყველა კუთხე, ქალაქური ფოლკლორი და ე.წ. „ფიუჟენ“ სიმღერებიც, როგორცაა მაგალითად, „დოლური“.

შოპლუკელ ქალთა ბურდონული მრავალხმიანი მღერა

ბულგარეთში, შოპლუკის მთიანი რეგიონისთვის მეტად სახასიათოა ქალთა სასიმღერო ჟანრი „ლაზარუვანე“ – ახალგაზრდა ქალთა საგაზაფხულო, ინიციაციის სიმღერა და ფერხული სახელწოდებით „ჰორო“. ამ და, ასევე, სხვა რიტუალურ ნიმუშებს დღეს წარმატებით ასრულებს ეგრეთწოდებული *ბისტრიცა ბაბი* (ბისტრიცელი ბებიები) – ხნიერ ქალთა ანსამბლი (დაფუძნებული 1939 წელს), რომელიც სწორედ ამ სახელწოდებით იქნა იუნესკოს მიერ აღიარებული 2005 წელს, როგორც შოპის რეგიონის წრიული ფერხულით შესასრულებელი ქალთა მრავალხმიანი მღერა. ამჟამად ანსამბლში ახალგაზრდებიც არიან ჩართულები და სრული შემადგენლობით ამ გუნდს *ბისტრიცელ ბებიებს* და *შვილიშვილებს* ეძახიან.



ბისტრიცა ბაბი

შოპლუკურ მრავალხმიანობას ბულგარეთში „დიფონიას“ უწოდებენ. აქ სოლისტები მღერიან გაბმული, ბურდონული ბანის ფონზე. ისინი ასრულებენ „იზვიკას“, ასევე „ბოუჩი კრივოს“ (დაკლავნილი სიმღერა), ეს სოლისტები ხან მონაცვლეობენ, ხან კი პარალელურ ხმათასვლას მიმართავენ. ამ დროს დანარჩენი მომღერლები იჭერენ გაბმულ ბგერას, ბურდონს, რომელიც ხშირად ორად ან სამად განიტოტება, რათა უფრო მსუყე თანმხლები ბგერა წარმოიქმნას.

აღსანიშნავია, რომ მღერისას გამოიყენება ხორხისმიერი არტიკულაცია, რასაც ბულგარული მუსიკისმცოდნეები არქაულობის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად მიიჩნევენ.

სიმღერები ძირითადად სამხმიანია და ხშირად ანტიფონურად იმღერება. მელოდია მდიდარია მელიზმებით, გვხვდება გადიდებული (ე.წ. ორიენტალური) სეკუნდური ხმოვანებებიც. ეს ტრადიციული სტილი სხვადასხვა რიტუალური ჟანრისთვისაა დამახასიათებელი. მათ შორისაა მინდვრის სამუშაოს თანმხლები სიმღერებიც. ფერხულში სიმღერის ვარირებული მუხლების მღერისას, შემსრულებლები მცირე ნაბიჯებით მოძრაობენ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

შოპლუკური მღერისათვის განსაკუთრებით სახასიათოა ე.წ. „შოპლუკური სეკუნდები“ – კლასტერული ხმოვანებები, რომლებიც პატარა და დიდი სეკუნდების დაშრევებით მიიღება. კლასტერის ეფექტს აძლიერებს თავისებური ხალხური ვიბრატო (რომელიც ხშირად გუნდურ ბანს ქვემო სეკუნდის პოზიციიდან ეხმიანება) და ანტიფონურ მხარეთა შეჭრილი კადანსები. ფრაზა ხშირად მთავრდება სლავი ქალებისთვის დამახასიათებელი ხმის ზევით „აქნევით“.

მართალია, *ბისტრიცა ბაბის* რეპერტუარი ამჟამად, ძირითადად, მხოლოდ სცენაზე სრულდება, მაგრამ დღესაც რეგიონის ერთ-ერთ მთავარ კულტურულ მონაპოვრად ითვლება. თავად სახელწოდებაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფიას ახლო მდებარე სწორედ ამ სოფელში, როგორც „კულტურულ კუნძულზე“, დღემდეა შემორჩენილი არქაული სასიმღერო ტრადიციის ეს მნიშვნელოვანი ელემენტი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულებში ამ სასიმღერო ტრადიციის ზოგიერთი ფრაგმენტი რეპერტუარიდან ამოიღეს ან შემჭიდროვდა, რათა სცენაზე უფრო მობილურად და ეფექტურად წარმოჩენილიყო.

თამაზ გაბისონია

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოციირებული პროფესორი*

„ჩვენებურების სიმღერა ინეგოლიდან: პიტერ გოლდის ნაკვალევზე“

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ტმკსც), ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ფონდ *ქართული გალობის* ორგანიზებით, 15 აპრილს თბილისში, რუსთაველის თეატრსა და 17 აპრილს ბათუმის დრამატულ თეატრში გაიმართა კონცერტი-პრეზენტაცია – „ჩვენებურების სიმღერა ინეგოლიდან“. სადამოუკუნე შედგა კონსერვატორიისა და ფონდის ოთხენოვანი გამოცემის, „ქართული მრავალხმიანობა დასავლეთ თურქეთში: პიტერ გოლდის ნაკვალევზე“ პრეზენტაცია, რომელიც, გასულ წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე იყო წარდგენილი. მანამდე, იანვრის თვეში, ამ წიგნის პრეზენტაცია თურქეთის ბურსას პროვინციის ქალაქ ინეგოლში გაიმართა, რომელსაც აშშ-დან სპეციალურად ჩამოსული პიტერ გოლდიც ესწრებოდა.

ცნობილ გარემოებათა გამო მე-20 საუკუნის ბოლომდე ინეგოლში (ბურსას პროვინცია, თურქეთი) მცხოვრებ ქართველებს სამშობლოსთან ურთიერთობა არ ჰქონიათ, ამიტომ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 1960-იან წლებში გოლდის მიერ ჩაწერილი და დღემდე შემონახული სიმღერები და ცეკვები, რომელიც კონცერტზე იყო წარმოდგენილი, მინიმუმ 150 წლის ხნოვანებისაა. ამრიგად, ინეგოლის ოაზისია, სადაც შენახულია უძველესი აჭარული სიმღერები და ცეკვები, რომელთაც არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარების დიდი პოტენციალი აქვთ.

2015 და 2018 წლებში ტრაპიზონის ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო კონსერვატორიასთან თანამშრომლობით ტმკსც-მა მოაწყო ექსპედიციები ინეგოლში. 2018 წელს, ტმკსც-სა და ფონდ *ქართული გალობის* ერთობლივი პროექტის ფარგლებში ქალაქ ინეგოლში შეიქმნა – ახალგაზრდების, ხოლო სოფელ ჰაირიეში – სხვადასხვა ასაკის ადგილობრივი მომღერლებისგან დაკომპლექტებული გუნდები, რომლებიც ძველი მომღერლების შთამომავლები არიან და მათ ნაწილს ახალგაზ-

რდობაში უმღერია კიდევ. მათთან ერთად, ალ-დგა ჭიბონის ტრადიციაც.

რუსთაველის თეატრში გამართული სადამოს მიზანი იყო ქართულ საზოგადოებას გაეცნოთ თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების მიერ საუკუნენახევრის მანძილზე დიდი სიყვარულით შემონახული უნიკალური სასიმღერო და საცეკვაო კულტურა. მიუხედავად იმისა, რომ ინეგოლელების ახალგაზრდა თაობის დიდ ნაწილს ქართული ენა სრულყოფილად არ ახსოვს, ისინი ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ასრულებენ ამ სიმღერებსა და ცეკვებს ჩვენებურების შეკრებებზე. თურქეთში მცხოვრები ქართველების ერთგულება მშობლიური ტრადიციისადმი იმსახურებს განსაკუთრებულ პატივისცემას და საჭიროებს მეტ პოპულარიზებას საქართველოს ფართო საზოგადოებაში, რომელმაც უნდა იცოდეს, როგორ ფაქიზად შემოინახეს მოჰაჯირთა შთამომავლებმა წინაპართა დანატოვარი.



„ჩვენებურების სიმღერა ინეგოლიდან“
რუსთაველის თეატრში

პროექტით გათვალისწინებული კონცერტზე საპრეზენტაციო წიგნში წარმოდგენილ უნიკალურ სიმღერებთან ერთად ჩვენებურებმა შეასრულეს ტრადიციული ცეკვებიც.

რუსთაველის თეატრის სცენაზე მხატვარმა მირიან შველიძემ ინეგოლის სოფელ ჰაირიესათვის დამახასიათებელი გარემო შექმნა. კონცერტში მონაწილეობდა 40-მდე შემსრულებელი ინეგოლიდან. მათი ნაწილი საქართველოში პირველად ჩამოვიდა. სადამოს წამყვანი გახლდათ მომღერალი, ბიზნესმენი და მეცენატი სოფელ ჰაირიედან, ბატონი გურამ ქოქოლაძე (ერგუნ ათა-

ბაი). კონცერტში, ასევე, მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: *ელესა* (ქედა) და *ბერმუხა* (ხულო), ხოლო ბათუმის კონცერტში ანსამბლ *ელესასთან* ერთად – *ფესვებმა* (შუახვევი).

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ერთობლივი პროექტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს თურქეთსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაში.

თანამშრომლობა გრძელდება. ამა წლის აგვისტოში დაგეგმილია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ფონდ *ქართული გალობის* ერთობლივი პროექტი: „ინეგოლსა (თურქეთი) და აჭარაში მცხოვრები აჭარლების ტრადიციული ცეკვისა და საცეკვაო დასაკრავების შედარებითი შესწავლა (კომპლექსური ექსპედიცია აჭარაში)“, რომლის ფარგლებშიც 10 დღის განმავლობაში მოცეკვავეები ინეგოლიდან აჭარას ესტუმრებიან და ექსპედიციის ფორმატში შეხვედებიან ადგილობრივ მოცეკვავეებს აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.

ნინო რაზმაძე

ტმკსც-ის სპეციალისტი

ერთი ტრადიციული საკრავის შესახებ

ჩონგური

ჩონგური ჩამოსაკრავი სიმებიანი საკრავია, რომელიც დასავლეთ საქართველოს ბარში, კერძოდ, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაშია გავრცელებული.

ჩონგური ფორმით შუაზე სიგრძივ გაჭრილ მსხალს მოგვაგონებს. ფანდურისაგან განსხვავებით, მას ოთხი სიმი აქვს, ზომით მოზრდილია და საქცევეები (ფარდები) არ გააჩნია.

ჩონგურს მეტად ორიგინალურად განლაგებული სიმები აქვს. სამი სიმი გრძელია; თითოეულის ერთი ბოლო მიმაგრებულია საკრავის თავზე გაკეთებულ ნახვრეტში ჩასმულ მოქლონზე, ხოლო მეორე, დანარჩენ სიმებთან ერთად – ჩონგურის ბოლოზე. მეოთხე სიმი სიგრძით დანარჩენი სიმების დაახლოებით 1/3-ია, მოქცე-

ულია I და II სიმს შორის და მხოლოდ ერთი სიმაღლის ბგერას გამოსცემს. მისი ერთი ბოლო მიმაგრებულია ჩონგურის ყელის შუაში გაკეთებულ ნახვრეტში ჩასმულ მოქლონზე, მეორე კი, დანარჩენ სიმებთან ერთად – ჩონგურის ბოლოზე. შესაბამისად, მას არ ეხება მარცხენა ხელი და არ იცვლის სიმაღლეს. ის ჩონგურის დიაპაზონის უკიდურესად მაღალ ბგერას გამოსცემს და, ალბათ, სწორედ ამის გამო, „ზილს“, ანუ, „წვრილ ხმას“ უწოდებენ.



ჩონგური

საინტერესოა, რომ გურული ჩონგურის სიმებს ხალხი სასიმღერო ხმებს უწოდებდა: მთქმელი, მოძახილი, ბანი და ზილი, რაც ხშიერი მუსიკის გავლენის შედეგია. ვლ. ახოზაძის აზრით, „ზილი“ ჩონგურზე ოთხხმიანი სიმღერების გავლენით გაჩნდა და ამით აიხსნება, რომ იგი „შემზომბარის“ მსგავსად, პირველ და მეორე სიმებს შორის მდებარეობს.

ფანდურისაგან განსხვავებით, ჩონგურს რამდენიმენიარად აწყობენ. დღეისათვის ყველაზე გავრცელებული წყობებია: f-g-c1-f1 და f-a-c1-e1; შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული: f-g-c1-g1 და d-a-c1-a1; გვაქვს სხვა წყობებიც: f-as-c1-es1, f-b-c1-f1, f-b-d1-f1, f-c-es1-f1. ჩონგურის წყობათა ასეთი სიმრავლე იმ სიმღერების ჰარმონიული მრავალფეროვნებით იყო გამოწვეული, რომლებსაც იგი ახლდა. ყველაზე ფართო მაინც პირველ წყობაში შესასრულებელი რეპერტუარია, ამიტომ მთავარ, უნივერსალურ წყობად სწორედ ის მიიჩნევა (f-a-c1-f1).

ჩონგურის დიაპაზონი თავსდება მესამე სიმის მიერ გამოცემულ ყველაზე დაბალ და ზილის მიერ გამოცემულ ბგერას შორის. წყობების

სიმრავლის პირობებში, ის შეიძლება იყოს სეპტი-
მა, ოქტავა ან ნონა.

ფანდურისაგან განსხვავებით, ჩონგურზე
დაკვრისას, გარდა ჩაკვრა-ამოკვრისა, ხშირად
გამოიყენება მოზიდვის ხერხებიც. ამავე დროს,
ვირტუოზი მეჩონგურეები სიმების ჩამოკვრის
პარალელურად, შუა ან არათითის დეკაზე დაკა-
კუნებით დასარტყამი საკრავის იმიტირებასაც
ახერხებენ.

ჩონგურზე მიიღება, როგორც ცალკეული
ბგერები, ისე – ორ, სამ და ოთხხმიანი აკორდები.
ჩონგურის ბგერათა მრავალი ფანდურისაზე გაცი-
ლებით დიდია წყობათა სიმრავლის წყალობით.

ჩონგურზე მამაკაცებიც უკრავენ და ქალებიც,
თუმცა უფრო ხშირად მასზე შემსრულებ-
ლებად ქალები გვევლინებიან. ჩონგური წარ-
მოადგენდა ოჯახის აუცილებელ ნივთს, რომე-
ლსაც კედელზე, გამოსაჩენ ადგილზე ჰკი-
დებდნენ. ის ძირითადად სათანხლებო საკრავს
წარმოადგენს ერთხმიანი სახუმარო, სატრფიალო
თუ ეპიკური სიმღერებისთვის, თუმცა ხშირია
ჩონგურის თანხლებით სხვადასხვა ჟანრის სამხ-
მიანი სიმღერების შესრულებაც.

ჩონგურის თანხლებით მღეროდნენ ქალები
ხელსაქმის შესამსუბუქებლად და გასახალისებლად;
ასევე, ბავშვთა ინფექციური დაავადების
დროს, ე.წ. „ბატონების“ დასაშოშმინებლად და
პატარას გამოსაჯანმრთელებლად; ბავშვის დაბა-
დებასთან დაკავშირებული რიტუალის, „ძეობის“
დროს; უკრავდნენ და მღეროდნენ უნაყოფოდ
ტანაყრილ მცენარესთანაც, რითაც, სავარაუდოდ,
ნაყოფიერების ღვთაებას მიმართავდნენ.

ჩონგურის გამოყენება ტრადიციულ ანსამ-
ბლში დოლთან ერთად გვხვდება, განსაკუთრე-
ბით აჭარაში. ერთზე მეტი ჩონგური ყოფაში
ერთდროულად არ გამოიყენებოდა.

ჩონგური განვითარების უფრო მაღალ სა-
ფეხურზე დგას, ვიდრე ფანდური. ეს გამოიხატება
არამარტო სრულყოფილ კონსტრუქციაში და,
აქედან გამომდინარე, ტემბრის ხარისხში, არამედ
ჰარმონიულ შესაძლებლობათა სიმდიდრესა და
დაკვრის ხერხებშიც.

ფანდური და ჩონგური მთელი რიგი
ნიშნებით ემსგავსებიან, მაგრამ, ამავედროულად,
პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.
მსგავსება მჟღავნდება, პირველ რიგში, გარეგნულ

ფორმაში: ორივე საკრავი სიმებიანია, ორივეს გა-
მობერილი მუცელი და ვიწრო ტარი აქვს; გარდა
ამისა, ორივე საკრავი ძირითადად სააკომპა-
ნემენტოა – სოლო ჰანგებად მათზე მხოლოდ სა-
ცეკვაოები სრულდება; ორივეს დიდი როლი ეკის-
რება საწესო რიტუალებში. ყოველივე ამის სა-
ფუძველზე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადრე ეს
ორი საკრავი ერთი უნდა ყოფილიყო, ხოლო რაკი
ისინი განვითარების სხვადასხვა ეტაპს შეესა-
ბამება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩონგური ფანდურისგან არის წარმოშობილი.



**ჩონგურზე შესრულების დიდოსტატი
პოლიკარპე ხუბულავა**

საინტერესოა, რა იყო გადამწყვეტი ფან-
დურიდან ჩონგურის წარმოშობის გზაზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალის-
წინოთ განმასხვავებელი ნიშნები ამ საკრავებს შო-
რის, რომელთაგან ყველაზე არსებითი მეოთხე
სიმი – „ზილია“. მისი გაჩენა არის ის გადამწყვეტი
მომენტი, რომელსაც ფანდურიდან ჩონგურის
წარმოქმნა უკავშირდება. აქ ისმის კითხვა, რატომ
უნდა დარქმეოდა ჩონგური ოთხსიმიან ფან-
დურს? ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სიტყვა
„ჩონგური“ „ჩანგურიდან“ ანუ „ჩანგისებურიდა-
ნა“ ნაწარმოები და ესეც „ზილს“ უკავშირდება.
საქმე ისაა, რომ ეს სიმი თავდაპირველად და-
ნაჩენი სამი სიმის სიგრძე იყო და მისი და-
მოკლება მოგვიანებით მოხდა დაკვრის გაად-
ვილების მიზნით. იმისათვის, რომ მისი სიმაღლე
არ შეცვლილიყო, მარცხენა ხელის თითები არ
უნდა შეხებოდა, რაც განაპირობებდა ჩამოკვრის
ნაცვლად სიმების „ჩანგისებურად“ მოზიდვას.
სწორედ ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული
სახელწოდება „ჩანგური“/„ჩონგური“.

თუ ჩონგური წარმოადგენს ფანდურის განვითარების შედეგს, მაშინ ქართული სიმებიანი ჩამოსაკრავი საკრავების განვითარების საფეხურები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. ორსიმიანი ფანდური კვარტული წყობით;
2. სამსიმიანი ფანდური კვარტული წყობით;
3. სამსიმიანი ფანდური სეკუნდურ-ტერციული წყობით;
4. ოთხსიმიანი ჩონგური, რომლის წყობა უნდა ყოფილიყო დღეისათვის პირველ წყობად წოდებული (f-a-c1-f1).

შეიძლება ითქვას, რომ ქართული სიმებიანი ჩამოსაკრავი საკრავის განვითარება ასახავს იმ ძირითად ეტაპებს, რომელიც გაიარა ქართულმა ხალხურმა მრავალხმიანმა სიმღერამ ორხმიანობიდან ოთხხმიანობამდე.

*მასალა დამუშავებულია მაკა ხარძიანის მიერ
მანანა შილაკაძის ნაშრომზე –
„ქართული ხალხური საკრავები და
საკრავიერი მუსიკა“ – დაყრდნობით*

ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ

ლამპრობის დღესასწაული საქართველოში

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ამ რელიგიის მსოფლმხედველობის შესაბამისად, ბუნებრივად მოხდა მრავალი წარმართული რიტუალის გადააზრება. მათ შორის ერთ-ერთია *ლამპრობის* დღესასწაული, რომელიც, სავარაუდოდ, ქრისტიანულ ეპოქაში *მირქმის* დღესასწაულმა ჩაანაცვლა.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროებით, *ლამპრობა* საქართველოს მრავალ კუთხეში დასტურდება. მათ შორის: ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში, მთიულეთში, გურიაში, იმერეთსა და სვანეთში. ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი აპოლონ წულაძე გვაწვდის ცნობებს გურული *ლამპრობის* შესახებ. „ლამპარს ამზადებდნენ ანწ-

ლის ღეროსგან, ზლის ხის ტყავისგან, ჩალისაგან და ა.შ... პირველ თებერვალს, ანუ „გაზაფხულის მიგებების საღამოს“, ოჯახის ყველა წევრი, დიდიან-პატარიანა, თითო ლამპარს გამოიტანდა ანთებულს, ამნაირად, მთელი არემარე განათდებოდა, ბავშვები ყიჟინებდნენ, იყო სიცილი, ხუმრობა, ლამპრის ლამპარზე დარტყმა“. ძველად კაცები გაზაფხულის მაგივრად „გალამპრობას“ ხმარობდნენ“. თუშეთში ამ დღეს უქმობდნენ და „ბაშანაურთ უქმეს“ ეძახდნენ. ხევში და გუდამაყარში ეს დღე „ამპარიობის“ სახელს ატარებდა.

აღნიშნული დღესასწაული ყველაზე კარგად სვანეთის ხალხურმა ყოფამ შემოინახა. ამ სახალხო დღესასწაულის მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს მუხის, წიფლის ან, უმეტესწილად, არყის ხისგან დამზადებული ლამპარი.

ამ დღეობამ სვანეთში, დროთა განმავლობაში, სახეცვლილება განიცადა და სამი სახით ჩამოყალიბდა:

- 1) *დეცე ლამპრობ* – ცის ლამპრობა (მოდრავი)
- 2) *სვიმნი ლამპრობ* – მირქმა (უძრავი)
- 3) *ჯგრაავი ლამპრობ* – წმ. გიორგის ლამპრობა (მოდრავი)

დეცე ლამპრობის (ცის ლამპრობა) დროს ცას შესთხოვდნენ ოჯახის დაცვას ავადყოფობისგან. *დეცე ლამპრობ*-ზე ერთი ლამპარი კალოზე, ეზოში ინთებოდა ცის ღმერთის სახელზე, რადგან, ხალხის რწმენით, სწორედ ცის ღმერთის ხელთ იყო ყვავილის სახადის მოვლენა და საჭირო იყო მისი გულის მოგება, რომ მშვიდობიანად მოევილინა ეს დაავადება და არ დაეხოცა ბავშვები, ასევე, დაეცვა მოსახლეობა სხვადასხვა სნეულებებისგან.

მეორე მხრივ, როგორც ქართველი საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი და პუბლიცისტი ეგნატე გაბლიანი აღნიშნავს, ძველად ქართველები მთავარეს ცეცხლის ანთებითაც სცემდნენ თაყვანს და ამის ნაშთად უნდა ჩაითვალოს დღემდე შემონახული *ლამპრობაც*. ამავე აზრის იყო ივანე ჯავახიშვილიც და თვლიდა, რომ ეს ჩვეულება მთავარის დიდებისა და მსახურების ნაშთია და უახლოვდება ასურელების, ქარანელების და საბიელების მსგავს დღეობას.



დღევ ლამპრობ სვანეთში

სვიმნი ლამპრობ/სვიმნობ/სვიმნიშ. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ლამპრობის წარმართული დღესასწაული, როგორც ჩანს, მირქმამ ჩაანაცვლა, რაზეც პირველ რიგში დღესასწაულის სახელწოდება სვიმნი ლამპრობ მეტყველებს. სახელი სვვიმნობ სწორედ სვიმონ მირქმელს უნდა უკავშირდებოდეს. უძველესი ქართული საისტორიო წყაროებიც გვაუწყებენ, რომ ქართული სინამდვილისათვის უძველესი დროიდან მირქმა ცნობილი იყო, როგორც ლამპრობა, რომელიც ძველ ეტრატებზე სხვა დღესასწაულებთან ერთად არის ნახსენები. ეს მისტიური მსვლელობა, გადმოცემის მიხედვით, უკავშირდება მესიის მოვლენის ისტორიას, რომელსაც ებრაელი ხალხი რომაელთა ბატონობისგან უნდა ეხსნა, როგორც ეს ბიბლიურ წინასწარმეტყველებში იყო გადმოცემული. მესიის დაბადების მოლოდინში მყოფი ებრაელი რაბინი სვიმეონი, მას შემდეგ, რაც მაცხოვარი იესო ქრისტე მიირქვა, გავიდა წინაპართა სამარხზე, რათა მათთვის ეხარებინა მესიის მოვლინების შესახებ.

გადმოცემის მიხედვით, ეს რიტუალი ტრადიციად იქცა, ყოველ წელს იკრიბებოდნენ წინაპართა საფლავებზე მორწმუნენი და აღნიშნავდნენ მესიის მოვლენის რიტუალს. „სვანეთში ამ დღეს ყველა სვანი მიცვალებულთა საფლავებზე ანთებს არყის ხისგან დამზადებულ ლამპრებს. ხალხის რწმენით, საფლავებზე დანთებული ლამპრები გზას უნათებს მიცვალებულთა სულებს“ – წერს ბესარიონ ნიჟარაძე.

ჯგრააგი ლამპრობ (წმ. გიორგის ლამპრობა) სვვიმნობ-ის მეორე დღეს იმართებოდა. ამ

დღეს ოჯახიდან ყველა „ქუდოსანი“ (ანუ მამაკაცი) სოფლის მოედანზე, ეკლესიასთან ახლოს ანთებდა ლამპრებს.

ერთი ჩირაღდანი ოჯახის სახელზე კეთდებოდა, დანარჩენი – ოჯახში მყოფი მამაკაცების რაოდენობით განისაზღვრებოდა. ხალხის გადმოცემით, ძველ დროში, ამით დგინდებოდა, რამდენი მეომრის გამოყვანა შეეძლო სვანეთს საჭიროების შემთხვევაში.

გათენებამდე ანთებული ლამპრები მიჰქონდათ წმინდა გიორგის სალოცავში, სადაც ლოცულობდნენ, წმინდა გიორგის სადიდებლად „ჯგრააგის“ გალობდნენ. ამის შემდეგ დანთებული კოცონის გარშემო გრძელდებოდა ზეიმი, გაისმოდა სიმღერა-საგალობლები, სრულდებოდა ფერხული „ლამპრული“, იმართებოდა ჭიდაობა და გუნდაობა. ლამპრების დაწვის დროს ოჯახებიდან მოიტანდნენ ხონჩაზე დაწყობილ სამ-სამ ყველიან პურს. სოფლის უხუცესი დალოცავდა თითოეულ მოსახლეს, შემდეგ იმართებოდა ტრაპეზი და ზედაშეს რიტუალური სმა. ძველად ეკლესიიდან შინ დაბრუნებული ადამიანები სახლშიც მღეროდნენ სადიდებელ ჰიმნებს, კერას უვლიდნენ ანთებული სანთლებით, რომლებსაც შემდეგ საქონლის სადგომის ტიხარზე აკრავდნენ.



სვიმნი ლამპრობ/სვიმნიშ

საინტერესოა, რომ ქართული ლამპრობის დღესასწაული ძალიან ჰგავს მეზობელი ქვეყნების მირქმისადმი მიძღვნილ რიტუალს. მაგალითად, სომხეთში, ტიარნინდარაჯი (მირქმა) აღინიშნება 14 თებერვალს. ამ დღეს თან ახლავს წინასააღმოსაფრთხილო ცერემონია. საღამოს ღვთისმსახურების

შემდეგ, სრულდება *ანდასტანი*, სადაც აკურთხებენ სამყაროს ოთხ მხარეს და სანთლებს, ქრისტეს სინათლის სიმბოლოდ. ამის შემდეგ ეზოში იმართება *ტერნდეზის* კოცონი, რასაც თან ახლავს ტრადიციული საფერხულო სიმღერები, მსგავსად სვანეთისა, სადაც *ლამპრობისას* სავალდებულო იყო სარიტუალო ცეცხლი და საფერხულო სიმღერები.

რუსეთში *მირქმამდე* არსებობდა „სანთლების ანთების ტრადიცია“, რითაც ისინი თავს იცავდნენ ავი სულებისგან, სტიქიური უბედურებებისგან, ასევე, იხსენებდნენ წინაპრების სულებს და ღვთაებებს ავედრებდნენ პირუტყვს. დღეს რუსეთში მირქმის ლიტურგიის დაწყებამდე 6 საათით ადრე მღვდელი აკურთხებს სანთლებს, რომელსაც შემდეგ ურიგებენ ტამარში მყოფთ. მრევლი ამ სანთლებს მთელი წლის განმავლობაში ინახავს. აქაც ჩანს, რომ ამ ტრადიციას ძველი ფესვები აქვს და შერწყმულია ახალთან.

ცნობილია, რომ რომში *მირქმის* აღნიშვნის დაწესებას, სხვადასხვა მკვლევრის აზრით, უნდა აღმოეფხვრა ე.წ. წარმართული *ლოპერკალიის*

დღესასწაული, რომელიც ნაყოფიერებისადმი იყო მიძღვნილი.

ქართული ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით, ძველად *ლამპრობის* მიზანი იყო მოსავლიანობის, საქონლისა და ადამიანის გამრავლების გამოთხოვა; ამის დასტურია *ლამპრობის* რიტუალის შემდგომ ბერიკაობის მსგავსი, ანუ, ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი დღესასწაულის მოწყობის ტრადიცია. ამგვარად, შესაძლებელია, ითქვას, რომ *მირქმამ ლამპრობის* წარმართული დღესასწაული ჩაანაცვლა, თუმცა ხალხის ცნობიერებიდან ბოლომდე ვერ აღმოეფხვრა ქრისტიანობამდელი წარმოდგენების ნაშთი.

მასალა მომზადებულია გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტის, თამარ წამალაშვილის მიერ ა. წულაძის, ე. გაბლიანის, ბ. ნიჟარაძის ნაშრომებსა და ინტერნეტრესურსებზე დაყრდნობით

ჯგრაგში
Jgragish

ჯგ - ი - რა - გი - ლე - ჰა
 Jg - i - ra - gi - le - ha
 ლა - ი - გვი - უო -
 la - i - gvi - uo -

შე - ი - ვო - და
 she - i - vo - da
 ი - ჰა
 i ha
 ი - ჰა - ი - უო
 i ha i uo

ი - ჰო
 i ho
 ჰა - ი - ჰა
 ha i ha
 ი - ა
 i a
 ვო - და
 vo da

ი - ჰა
 i ha
 ი - ჰა - ი
 i ha i
 ლა - ი - გვი - უი -
 la - i - gvi - ui -

შე - ნ - ვო - და ი ჰა ი ჰა ი

she - i - vo - da i ha i ha i

უო ი ჰე ჰა ი ჰა ი ა

uo i he ha i ha i a

ვო და ი ჰა ი ჰა ი უო

vo da i ha i ha i uo

დი - დაბ აჯ - ხად ჯგ - რაგ სი ლა გვეშ - დი - უო.

di - dab aj - khad jg - rag si la - gvesh - di - uo.

შემდგენელი და რედაქტორი:

მაკა ხარბიანი - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტმკსც-ის სპეციალისტი

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარბიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2019

eISSN-1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: polyphony@tsc.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2019 წლის დეკემბერში